პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 290 (19781) პარასკევი, 19 დეკემბერი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

სტუდენტი მომავლის გზაზე

რაფერი შეედრება სტუდენტობის ხანას — დიდი იმედებით, ოცნებებით, რწმენითა და ძიებით აღსავსე წლებს. ეს არის დრო, როცა იწრთობა და იხვეწება მომავალი სპეციალისტის იდეური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი სამყარო.

ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დასახულ უდიდეს სამერმისო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში მნიშვნელოვან და ღირსეულ წვლილს შეიტანს არა მარტო ის, ვინც დღეს უმაღლეს სკოლაში რიგიანად დაუფლება არჩეულ პროფესიას, არამედ ის, ვისთვისაც წმიდათაწმიდაა ისეთი ადამიანური ცნებები, როგორიც არის პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, პუმანიზმი და პატიოსნება, საშშოლოსადმი ერთგული სამსახურის გრძნობა. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა გარემოს, რომელშიც მომავალი სპეციალისტი იზრდება, ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ყოველმა ახალგაზრდამ სტუდენტობის წლებშივე იგრძნოს, რა ბედნიერებაა, იყო დიდ, საქვეყნო საქმეთა თანაზიარი, ხალხისა და პარტიის შიერ დასახული მაღალი მიზნების განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლი.

ყოველი სალექციო თუ სახემინარო საათი, სამეცნიერო კვლევა-ძიება, რომელშიც სტუდენტობაა ჩაბმული, პირველ ყოველისა, ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ მომავალი სპეციალისტი ამთავითვე შეეგრძნოთ დამოუკიდებელ აზროვნებას და მუშაობას. გამოვუმუშაოთ პასუხისმგებლობის, კოლექტივიზმის გრძნობა, ყოველივე ის, რასაც ასე ტკივდად გამოხატავს სიტყვები — აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

როცა ამ მოთხოვნებით განვსჯით ყოველივეს, რაც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში კეთდება, უფრო ნათლად წარმოჩნდება, რასაც მივაღწიეთ, მაგრამ ისიც აშკარა ხდება, რომ ჯერაც ძალზე ბევრი გვაქვს სერიოზული საფიქრალი და საზრუნავი, ნაკლი და ხარვეზი, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვს აღმოფხვრას. ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამსჯელობისდროს, რომელმაც ჩვენში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის კონკრეტული გზები დასახა, განიხილა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები. ისინი უკავშირდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა დაგეგმვის, მომზადებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების გაუმჯობესებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის და გამოყენების გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით.

იმის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომ ჩვენმა უმაღლესმა სკოლამ ღირსეულად აუბას მხარი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესს, მისი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო-მეთოდიკური ბაზის მკვეთრი გაუმჯობესებაა. ამიტომაც არის, რომ სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები დღითი დღე მდიდრდება საინფორმაციო და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკით. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მეთერამეტე ხუთწლედში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის შეძენილია 50 მილიონი მანეთის მოწყობილობა. და მაინც, საზრუნავი ამ მხრივ კვლავაც დიდია. თუ საშუალოდ ქვეყანაში ერთ სტუდენტზე 2650 მანეთის მოწყობილობა მოდის, ჩვენთან ეს მაჩვენებელი 1300 მანეთს არ აღემატება. საქმე რომ უკეთ წარიმართოს, ეს კი აუცილებელია, რესპუბლიკის დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს შეტი აქტიურობა და ქმედითობა მოეთხოვებათ.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში დიპლომიანი კადრების გამომუშავების მოწესრიგებისა და მათი მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ მიღწეული, სამწუხაროდ, მაინც არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს, იგი კვლავაც ხუსტად უკავშირდება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივას.

გარდაქმნის პროცესმა განსაკუთრებით მწვავედ წარმოაჩინა ისიც, რომ რესპუბლიკაში შექმნილი უმაღლესი სკოლის მნიშვნელოვანი პოტენციალი არ არის სათანადოდ ორიენტირებული სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

საჭიროა გვახსოვდეს მოთხოვნა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობისადმი მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარდგენილ პოლიტიკურ მოხსენებაში მეცნიერული სიღრმითა და ლაკონიურობით ჩამოყალიბდა: „უნდა გადავსინჯოთ უმაღლესი და სპეციალური განათლების სტრუქტურა, უზრუნველყოთ თანამედროვე დონეზე სპეციალისტთა მომზადება, რომლებსაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები... ახლებურად უნდა წარმართოთ სახალხო მეურნეობის დარგებთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ურთიერთობა. უფრო მეტად დავაინტერესოთ ისინი კადრების სწავლებისა და გადამზადების დონის ამაღლებით, წარმოებაში მათი გამოყენების კარდინალური გაუმჯობესებით“.

უდიდესი ეკონომიკური და სოციალური სიკეთის მოტანა შეუძლია საზოგადოებრივი ძალებისა და სახსრების სწორ განაწილებაში დაბანდებას. ყოველად შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში განაწილების სახელმწიფო გეგმის ფარგლებს გარეთ ყოველწლიურად ასობით კურსდამთავრებული რჩება, ზოგჯერ გეგმით გათვალისწინებული წესით არ ნაწილდებიან ისეთი საინჟინრო სპეციალობის კურსდამთავრებულები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა. ეს კი, პირველ ყოველისა, იმიტომ ხდება, რომ სპეციალისტების პერსპექტიული საჭიროების განსაზღვრის პრაქტიკა არ ემყარება მეცნიერულ საფუძველს.

აუცილებელია ამ მიმართულებით მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ. ასევე არსებითად უნდა გაუმჯობესდეს საწარმოებში კურსდამთავრებულთა დამკვიდრების საქმე.

არსად ისეთი ვნების მოტანა არ შეუძლია გულგრილობასა და ფორმალიზმს, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასა და გაუმართლებელ ლიბერალიზმს, როგორც მომავალი სპეციალისტის აღზრდისა და მისი ცხოვრებაში თვითდამკვიდრების პროცესში.

არ შეიძლება არ გვაფიქრებდეს ის ფაქტიც, რომ „ფრიადზე“ სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 12 პროცენტი სწავლობს, არადამაკმაყოფილებელია რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადება, საკმარისი ეკონომიკური, კონსტრუქტორული და ტექნიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები არა აქვთ ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიები სადიპლომო პროექტების მხოლოდ 12 პროცენტს აძლევენ პრაქტიკაში დანერგვის რეკომენდაციას და ამათგანაც თითო-ოროლა თუ ინერგება.

აი, ასეთი ადამიანებისა და სპეციალისტების აღზრდაა ახლა ჩვენი უმაღლესი სკოლის ყველაზე დიდი, პასუხსაგები და საპატიო საქმე, და ამ დიდი მიზნის განხორციელებაში უპირველესი და განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება სახელმდგოვნელ მეცნიერებებს, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდას. და აი, ასეთ დროს იშვიათი როდინ შემთხვევა, როცა საზოგადოებრივ დისციპლინათა კათედრებზე სწავლებისადმი ფორმალური, შედავთნური მიდგომით იფარგლებიან. ეს აღინიშნა კიდევ საზოგადოებათმცოდნეთა საკავშირო თათბირზე.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად იქცეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნის თავისებური იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

ასევე მეტი ყურადღება გვმართებს სტუდენტური თვითმმართველობის გაფართოების, ზაფხულის შრომითი სემესტრების უკეთ, უფრო საინტერესოდ და სასარგებლოდ ორგანიზების მხრივ. ერთიც და მეორეც ხომ ახალგაზრდებისათვის დამოუკიდებლობის უნარ-ჩვევათა გამომუშავების შესანიშნავი პირობების შექმნის ამოუწურავ შესაძლებლობებს ქმნის.

სწავლის, შრომისა თუ მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესში სტუდენტი დღენიადაგ უნდა გრძნობდეს, რომ იგი გარდაქმნის — ამ უაღრესად რთული და დიდი საქმის — აქტიური მონაწილეა და მის პირად წვლილზეც ამთავითვე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საერთო კეთილდღეობა.

ჰუმანდეს სრულყოფილი ცოდნა, იყოს პოლიტიკურად მტკიცე, ზნეობრივად წმინდა, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს მშობელი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს — აი, როგორი სპეციალისტები გვჭირდება ჩვენ მომავალში, აი, რა მოეთხოვება უწინარეს ყოვლისა სტუდენტთა დღევანდელ თაობას, რომელსაც წილად ხვდება ბედნიერება — იცხოვროს და იღვაწოს ახალ ათასწლეულში, XXI საუკუნეში!

ინტენსიფიკაცია დროის მოთხოვნაა

თელავის რაიონის მეგრობელთა 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებები

თელავის რაიონის მეგრობელებმა, ასრულებენ რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაანალიზეს სოციალისტური შეჯიბრება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის და 1987 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

სამრეწველო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმების შესრულებას 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით აწარმოებენ 1 მილიონი მანეთის პროდუქციას. შრომის ნაყოფიერებას საგეგმოსთან შედარებით გაზრდიან 1 პროცენტით. დაზოგილი ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე სამრეწველო ორგანიზაციები იმუშავებენ 2 დღეს და გამოუშვებენ 200 ათასი მანეთის პროდუქციას.

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელები 1986 წლთან შედარებით უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ხილეულიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის 25 პროცენტით გაზრდას. ყურძნის სამაღალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 70 ცენტნერს მიაღწევს. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ჰექტარობრივ მოსავლიანობას არსებული 26 ცენტნერიდან გაზრდიან 32-მდე, სამარცვლე სიმინდისას კი 42 ცენტნერამდე. ერთი პირობით ძროხაზე აწარმოებენ 18 ცენტნერ საკვებ ერთეულს, რაც უზრუნველყოფს საფურაჟე წვლადობის 1986 წელთან შედარებით 150 კილოგრამით ზრდას.

გეგმის გადამეტებით შესრულებენ 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

გეგმის გადაჭარბებით გადაზიდავენ 10 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, გააუმჯობესებენ მგზავრთა გადაყვანისა და მათი მომსახურების კულტურას. სატელეფონო ქსელის ტევადობა გაიზრდება 1.000 ნომრით.

განხორციელდება თელავის ვაჭრობის ქსელის კომპლექსური რაციონალიზაციის პირველი ეტაპი, მნიშვნელოვნად გაიზრდება საქონელბრუნვის მოცულობა — ერთ სულ მოსახლეზე 5 პროცენტით, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 7 პროცენტით. საქონელბრუნვის გეგმა შესრულდება 28 დეკემბრისათვის.

უზრუნველყოფილი იქნება რაიონის მოსახლეობის სრული დისპანსერიზაცია.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია რაიონის შრომითი კოლექტივების კრებებზე. (საქინფორმი).

სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის

მესტიის რაიონის მეგრობელთა 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებები

მესტიის რაიონის მეგრობელები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, 1987 წლისთვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

სასელეგოფოს მიპყიდიან 9700 ცენტნერ ხორცს, შარშანდელთან შედარებით 200 ცენტნერით მეტს, 15400 ცენტნერ რძეს, დაგეგმილზე 200 ცენტნერით მეტს. თითოეულ ფურზე მიიღებენ ნეგმაზე 15 კილოგრამით მეტ რძეს. ყოველ ას ფურზე 4 სულით გაიზრდება ნამატის მიღება. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ერთი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა გაიზრდება 250 კილოგრამამდე. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში გეგმის გადამეტებით იყოლიებენ 150 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 60 ღორს, წინა წლთან შედარებით ჯოგში ძროხების რაოდენობა გაიზრდება 3 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით დამზადდება: 100 ტონა თივა, 300 ტონა სენაჟი.

გამოუშვებენ 1260 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს — 7 პროცენტით მეტს, ვიდრე მიმდინარე წელს.

შრომის ნაყოფიერება გეგმის გადაჭარბებით გაიზრდება 1 პროცენტით, ხოლო ფონდუკუგება — 2 პროცენტით, დაიზოგება 200 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა შესრულდება 27 დეკემბრისათვის, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 7 ობიექტი. დამთავრდება უშგულლასდილის 10-კილომეტრიანი გზის მშენებლობა. წინა წელთან შედარებით გზების მშენებლობას მოხმარდება 377 ათას მანეთზე მეტი.

გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 30 ათას ტონა ტვირთს, დაზოგავენ 20 ტონა საწვავს. სატვირთო ტრანსპორტის საღღეღამისო მუშაობის ხანგრძლივობას გაზრდიან 9,6 საათამდე.

250 ახალი ნომერი შეემატება რაიონის სატელეფონო ქსელს, მათ შორის სოფლად— 190 ნომერი. კავშირგაბმულობის მომსახურების მოცულობა გეგმის გადამეტებით გაიზრდება 5 ათასი მანეთით. ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები შესრულდება 29 დეკემბრისათვის, ამასთან საქონელბრუნვის მოცულობა გაიზრდება 6 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 11 პროცენტით.

ყოველკვარტალურად შესრულდება მოგებისა და საკასო გეგმები.

მიაღწევენ მოსახლეობის 100-პროცენტიან დისპანსერიზაციას.

გარემოს დაცვისათვის შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობას გაზრდიან 5 პროცენტით.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია რაიონის მეგრობელთა კოლექტივებში და დადგენილებულია რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. (საქინფორმი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია



ყოველწლიურად ორიათას ტონაზე მეტ რძეს უგზავნის აფხაზეთის მეგრობელებსა და ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებს გაგრის მრავლის წითელი დროშის ორდენოსანი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის კოლექტივი. აქ ფართოდ ინერგება პროდუქციის მიღების სამრეწველო ტექნოლოგია. სელექციონერები დიდ ყურადღებას უთმობენ მეწველი ნახირის შენახვებას, საფურაჟე ძროხების გენეტიკურ შესაძლებლობათა შენარჩუნებას.

პირუტყვის კვების გაუმჯობესების გზით მნიშვნელოვნად გაზარდა წველადობა, რომელიც სეზონში 5800 კილოგრამს შეადგენს.

მნიშვნელოვნად გააიაფებს პროდუქციას წყლის გასათბობად მზის ენერგიის გამოყენება. სარძევე ბლოკში ჩელიოდანადგარები ზოგავენ ენერგორესურსებს.

სურათებზე: მანქანური წველის ოპერატორი ნატალია გოლოვაჩოვა; გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა-კომბინატს სარძევე ბლოკის ჩელიოდანადგარები.

ბ. სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კასპელ მეჭარხლეთა გამარჯვება

რესპუბლიკაში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს შაქრის ჭარხლის გეგმის შესრულება კასპის რაიონის მიწათმოქმედებმა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 5500 ტონის ნაცვლად მრეწველობას გადასამუშავებლად გაეგზავნა 5.800 ტონა მაღალკონდიციური შაქრის ჭარხალი.

შაქრის ჭარხლის გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს სამთავისის, ქვემო ქალის, ზემო ხანდაკის, ხოვლეს კოლმეურნეობებმა, ოკამისა და ლამისყანის საბჭოთა მეურნეობებმა.

შაქრის ჭარხლის დამზადება გრძელდება.

ყურადღება: პროდუქციას მიიღებს სახელმწიფო

მკვეთრად შემცირდება დანაკარგები

სამი შეკითხვა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადამსვლელი საწარმოს ხელმძღვანელს

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. მის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის საწვავით უზრუნველყოფა. ქარხნის პროდუქციის გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნება.

1987 წლის პირველი იანვრიდან საწარმო გადადის პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტი მ. გორგილაძე ესაუბრა ქარხნის დირექტორს ა. ჩინჩალაძეს.

— რა ღონისძიებები განახორციელეთ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლასთან დაკავშირებით?

— ნავთობის პროდუქტებით რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის საჭიროა სოლიდური რაოდენობის ხარისხიანი ნედლეული და საწარმოს გამართული მუშაობა. სამგორის ნავთობი საუკეთესოა, მაგრამ მას საკმაო რაოდენობით ვეღარ ვღებულობთ. ამ დანაკლისს სხვა წყაროებიდან ვავსებთ. სამწუხაროდ, ქვეყნის სხვა რაიონებიდან შემოზიდული ნედლეული ქარხნად შეიცავს გოგირდს. ჩვენი ქარხნის ძველი დანადგარები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს გოგირდნარევი ნედლეულის გადამუშავებას, გაიზარდა დანაკარგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის დეკემბერში განხილა ჩვენს ქარხანაში არსებული მდგომარეობა და მიიღო დადგენილება დამატებითი ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს საწარმოო უბნების რეკონსტრუქციასა და დანაკარგების შემცირებას. დადგენილების შესაბამისად საწარმოში ბევრი რამ გაკეთდა.

მომზადდა ნიადაგი პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლისათვის. მოვეთათბირეთ კოლექტივს, კრებები გაიმართა საამქროებსა და უბნებში, შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა, მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოებს წარმართავდა შტაბი. სპეციალისტებით დაკომპლექტდა სახელმწიფო მიღების ორგანოც.

სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა ჩვენ, ფაქტობრივად, შემოგომაზე დავიწყეთ. სახელმწიფო მიღების პრინციპით ოქტომბერში ვბარობდით პროდუქციის 40 პროცენტს, ხოლო ნოემბერში — 70 პროცენტს, საკავშირო კომისიის დასკვნით, ქარხანა ძირითადად მზად არის სახელმწიფო მიღებისათვის. ამავე დროს წამოიჭრა ზოგიერთი პრინციპული მნიშვნელობის საკითხი, რომლებიც უნდა მოგვარდეს. ლაბორატორიული კონტროლისათვის არ გვყოფნის აპარატურა-ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტორები. კომისიამ დაავალა ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, რათა დროულად აღმოგვიჩინონ დახმარება. ასე რომ, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლას კოლექტივი 1987 წლის პირველი იანვრისათვის მომზადებული შეხვდება.

— რა პრობლემები დარჩა გადასაწყვეტი, დაძლევთ მათ თქვენი ძალებითა და საშუალებებით?

— დიდ საქმეს დიდი პრობლემებიც ახლავს. ეს პრობლემები კომპლექსურად უნდა გადაიჭრას. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს. ქარხანა უშვებს დიზელის საწვავსა და ტექნიკური პირობებით პირდაპირი გამოხდის ბენზინს, რომელშიც ნორმაზე მეტია გოგირდის შემცველობა, რაც არ შეესაბამება სახსტანდარტის მოთხოვნებს. ამიტომ, გადაწყდა ქარხნის რეკონსტრუქციის დაწყებამდე შეიცვალოს ტექნიკური პირობები. არც მეორე სახეობის პროდუქციის ხარისხი შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.

ქარხნის ერთ-ერთი რთული პრობლემაა ნავთობ-ბიტუმის წარმოება. საქმე ის არის, რომ ყველა სახეობის ნედლეულისაგან ამ პროდუქტს ვერ მიიღებ. ზოგიერთი სახეობის ნავთობი დიდი

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

თბილისი. წელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა, ცდილობდა რა ხელი შეეწყო ბირთვული არსენალების ზრდაში საშიში შეჯიბრების შეწყვეტისათვის და უნდოდა კეთილი მაგალითი მიეცა სხვა ბირთული სახელმწიფოებისათვის, მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეეწყვიტა ყოველგვარი ბირთვული აფეთქება და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა შეეერთებოდა ამ აქციას.

სერიოზული ზარალის მიუხედავად, რომელსაც საბჭოთა კავშირი განიცდიდა საკუთარი უშიშროების თვალსაზრისით, როცა ზედიზედ აგრძელებდა ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმს, ამ ცალმხრივმა ღონისძიებამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ცხოვრებაში. მან ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხი, მასთან ერთად კი გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის სხვა საკითხებიც პრაქტიკულ სიბრტყეზე დააყენა. მორატორიუმმა საქმით ცხადყო, რომ შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეფექტიანი დაბრკოლების აღმართვას გამალებული ბირთვული შეიარაღების გზაზე.

დიდად სამწუხაროა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია არა და არ გამოეხმაურა პოზიტიურად სსრ კავშირის მოწოდებას შეერთებოდა მის მშვიდობიან ინიციატივას. მთლიანად უგულებელყორა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში ჩამოყალიბებული მსოფლიო გაერთიანების მოთხოვნები, მიუმხრობლობის მოძრაობის მოწოდებანი, „დელის ექვსეულის“ ლიდერთა წინადადებანი, პარლამენტებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრი, შეერთებული შტატები ჯიუტად აზორციელებს ბირთვული იარაღის გამოცდების პროგრამებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს ბირთვული გამოცდების შეწყვეტა, და ამის შესაბამებელ ცდილობდა სხვადასხვაგვარი „არგუმენტაციით“, კერძოდ, იმის მომიზეზებით, თითქოს შეუძლებელი იყოს ამ ღონისძიების ეფექტიანი კაკონტროლება. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ეს ყურით მოთრეული საბაბია. საბჭოთა კავშირი მზად არის — და ეს არაერთგზის განეცხადებია უმაღლეს დონეზე — ამ დარგში კონტროლის ყველაზე მკაცრი ღონისძიებებისათვის. ასეთი კონტროლი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს როგორც ეროვნული ტექნიკური საშუალებებით, ისე საერთაშორისო პროცედურებს, მათ შორის ადგილებზე ინსპექციის მეშვეობით. საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არ ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შემოწმებაში ისარგებლოს „დელის ექვსეულის“ ქვეყნების მიერ შემოთავაზებული დაბრკოლებით. მან შეეერთებულ შტატებს მიმართა წინადადებით გახდილა კონტროლის საერთაშორისო ზეეროვნული ქსელის შექმნის საკითხიც.

სსრ კავშირის ყველა ამ კონსტრუქციულ ნაბიჯზე ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია ნათლად მოწმობს, რომ სინამდვილეში საქმე კონტროლი არ ყოფილა. იმის ნამდვილი მიზეზი, რომ ამერიკის მხარე უარს ამბობს შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს, — და ამას ახლა ვაშინგტონში უკვე ვეღარ მიჩქმალავენ, — ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად ამყარებს იმედს მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან, სოციალიზმის ქვეყნებთან შედარებით პრინციპულად ახალი სახეობებისა და ტიპების შეიარაღების შექმნის გზით. ბირთვული გამოცდების დროს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწყობს, არა მარტო ახალ ბირთვულ ქობინებს ამუშავებენ, არამედ ქმნიან კიდეც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის შესაბამისად კოსმოსური ბაზრების დამკვრელ შეიარაღებას — ბირთვულ კომპონენტიან რენტგენულ ლაზერებს. წარმოებს სამუშაოები სრულიად ახალი სახეობის იარაღის მომზადებისათვის, რომელსაც შეუძლია მოსპოს სამინზნეები კოსმოსში და დედამიწაზე.

ბუნებრივია, თუ ვინმეს სურს შეიმუშაოს სულ უფრო სრულყოფილ სახეობათა ბირთვული იარაღი, განახორციელოს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამები, გაავრცელოს გამალებული შეიარაღება ახალ სფეროებში, მას მორატორიუმი სულაც არ სჭირდება. სწორედ იმით, რომ არ სურს ხელი აიღოს კოსმოსის მეშვეობით სამხედრო უპირატესობით მიღწევის გეგმებზე, აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მუდმივად უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის წინადადებებისადმი დაიწყონ სრულფასოვანი მოლაპარაკება, რომელიც ბირთვულ აფეთქებებს სამუდამოდ აკრძალავდა.

ამავამად კვლავინდებურად არ ჩანს იმის არავითარი ნიშანი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის მიბაძოს სსრ კავშირის მაგალითს და ხელი აიღოს ბირთვულ აფეთქებებზე. უფრო მეტიც, ამერიკის ბირთვული გამოცდების პროგრამათა რეალიზაციის ტემპი კვლავ მაღალ დონეზეა. მორატორიუმის მოქმედების დროს, სანამ საბჭოთა პოლიგონებზე სიჩუმე სუფევდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო 20 ოფიციალურად გამოცხადებული და 4 გამოუცხადებელი ბირთვული იარაღის გამოცდა.

პირობებში, როცა შეერთებული შტატები ჯიუტად ახორციელებს ბირთვული გამოცდების თავისეულ პროგრამას ახალი ბირთვული შეიარაღების შექმნისა და მისი ზრდის მიზნით, საბჭოთა კავშირს არ შეუძლია, დაუსრულებლად იჩქნდეს ცალმხრივ თავშეკავებას. შეიქმნა სიტუაცია, რომლის განგრძობამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროებას.

ამ საკითხის ღრმა და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

პირველი. საბჭოთა კავშირი კვლავ იძლევა წინადადებას დაიწყოვნებლივ დაიწყონ სრული მასშტაბის მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების მთლიანი აკრძალვის შესახებ. იგი მზად არის მოაწყოს ასეთი მოლაპარაკება ნებისმიერი შემადგენლობითა და ნებისმიერ ფორუმზე, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების მონაწილეობით. ამ მოლაპარაკების დროს უნდა გადაწყდეს კონტროლის საკითხებიც ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამის თაობაზე მიღებულ შეთანხმებათა საიმედო დაცვა. ბირთვულ აფეთქებათა სრული აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების პროცესში საბჭოთა კავშირი მზად არის მორიგდეს ამ ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტაზე(), მხედველობაში აქვს რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1974 და 1976 წლების ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და ბირთვული აფეთქებების რიცხვის ან სიმძლავრის შუალედურ შეზღუდვათა შემოღება.

მეორე. სსრ კავშირი მზად არის კვლავაც დაიცვას თავისი მორატორიუმი. მაგრამ იგი ბირთვულ გამოცდებს განაახლებს მაშინვე, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატები მოახდენს პირველ ბირთულ აფეთქებას მომავალ წელს.

მესამე. თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეწყვეტს ბირთვულ გამოცდებს, სსრ კავშირი ყოველ დღეს და თვეს მზად იქნება ნაცვალგებს საფუძველზე შეაჩეროს ასეთი გამოცდების თავისი პროგრამის რეალიზაცია.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება მომავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ბირთვული აფეთქების შემდეგ თავისი მორატორიუმის შეწყვეტის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების ინტერესებით ნაკარნახევი იძულებითი ღონისძიებაა. სსრ კავშირი კვლავ მტკიცედ ემხრობა ყველა ბირთვული გამოცდის სრულ შეწყვეტას, როგორც უმნიშვნელოვანეს, უპირველეს ღონისძიებას მთავარი მიზნის — გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკავების, მისი შემდგომი სრული ლიკვიდაციის მიღწევის საქმეში. ისევე, როგორც წინათ, სსრ კავშირი ენერგიულად ეცდება მიაღწიოს ამ მიზანს. იგი დარწმუნებულია, რომ მის პოზიციას ამ საკითხში ჯეროვანი გაგებით მოეკიდებიან და მხარს დაუჭერენ ჩვენი პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი

ШРОМИС ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის შრომის ნაყოფიერების გადიდების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ დღეებში მიღებული დადგენილება მოითხოვს, რომ შრომის ანაზღაურება დამოკიდებული უნდა გახდეს საბოლოო შედეგებზე, მთლიან შემოსავალზე.

იჯარა უნდა გამარტივდეს

მართვა მეურნეობრიობისა და დაგეგმვის ახალ პიროგებში

ARSEBOMBA შეხებულება თითქოს საწარმოებში სრული სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვა მოხდება ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ კრედიტისა და საკუთარი სახსრების ხარჯზე.

საქმე ის არის, რომ ბიუჯეტთან დამოკიდებულება კი არ იცვლება, არამედ, ერთმანეთს უსამდება მეურნეობის გაძღოლის ბიუჯეტური და სამეურნეო ანგარიშიანობის მეთოდები.

მეურნეობრიობისა და დაგეგმვის ახალ პირობებში მატერიალური დანახარჯების მთელი ეკონომია ხმარდება იმ მუშაკთა დაჯილდოებას, რომლებმაც უზრუნველყვეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ეს ძლავრი მატერიალური სტიმულია იმდენად, რამდენადაც სპეციალისტების გამოანგარიშებით, ყოველი ერთი პროცენტი მატერიალური დანახარჯების შემცირება ქვეყნის მასშტაბით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 800 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა. მეთორმეტე ხუთწლედის ცალკეული წლების მიხედვით თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკები მიაღწევენ საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 8 პროცენტით თვითღირებულების შემცირებას, მაშინ წახალისება-დაჯილდოებისათვის მათ დამატებით მიეცემათ 6 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც მათი ფაქტობრივი შრომის ანაზღაურების 15 პროცენტს შეადგენს.

მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურება გაცილებით უკეთ ფუნქციონირებს კოლექტიური იჯარის ობრებში. იგი შეიძლება ემყარებოდეს რამდენიმე ვარიანტს: ერთი შემთხვევაში მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურება იანგარიშება კონკრეტულად საწარმოო ქვედანაყოფის ან საწარმოს ბოლო 3-5 წლის მაჩვენებელთა მიხედვით — ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის ღირებულების, მასზე გაწეული მატერიალური დანახარჯებისა და შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით, მეორე შემთხვევაში კი ნორმატიული (საგეგმო) მაჩვენებლით. პირველი ვარიანტი შეიძლება გამოდგეს იმ მეურნეობებისათვის, სადაც კარგად არის დაყენებული საწარმოო ქვედანაყოფების მიხედვით პროდუქციის წარმოებისა და დანახარჯების აღრიცხვის საქმე, მაგრამ მეურნეობათა უმეტესობა ამჯობინებს მეორე ვარიანტს, რადგან პირველი ვარიანტის დროს მთლიან შემოსავალში აისახება არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, უყაირათობა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია და სხვა არსებული ნაკლოვანი მხარეები.

მიმდინარე წლის დამდეგიდან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საწარმოო ქვედანაყოფების ნახევარზე მეტი გადაყვანილია კოლექტიურ იჯარაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მრავალ მეურნეობაში განზრახ ამახინჯებენ მონაცემებს, ფორმალურად უდგიან საქმეს. ახმეტის რაიონში, მაგალითად, ანგარიშების მიხედვით თუ ვიმსჯელთ, მეცხოველეობის ქვედანაყოფების 60 პროცენტია გადაყვანილი სამეურნეოანგარიშებიან მეთოდზე, სინამდვილეში კი, როგორც აღმოჩნდა, 25 პროცენტი გადაუყვანიათ. ასეთივე სურათია საგარეჯოს, ლენინგორის, ცხინვალის, ზუგდიდის და სხვა რაიონებში. დაიშალა ზოგიერთი სიჯარო კოლექტივი ქარელის, ამბროლაურის, წალენჯიხის, გარდაბნის, საგარეჯოს, გეგეჭკორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ზოგან სამეურნეოანგარიშიან იჯარულ ქვედანაყოფებზე პროდუქცია ნაკლები მოდის, ვიდრე ხელფასის ფონდი, რის გამოც ხდება კოლექტიური იჯარის გაფეტიშება.

მაინც რა უშლის ხელს კოლექტიური იჯარის ფართო დანერგვას?

ჩვენი აზრით, ძალზე გატაცებული ვართ სამეურნეოანგარიშიანობის სრულყოფის საკითხისადმი ტრადიციული მიდგომით. ჯერ კიდევ ვერ აღმოგვიფხვრავს ქაღალდმთხზველობა. ეტყობა, აღნიშნული მეთოდისადმი ამგვარმა მიდგომამ თავისი ამოწურა, რადგან, მისი გავლენა რიგით შემსრულებელზე სულ უფრო მცირდება.

შიდასამეურნეო ანგარიშიანობა დანერგვა ამა თუ იმ მეურნეობაში ერთი ბრიგადის ან ერთი დარგის დონეზე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, იჯარის უპირატესობას ნათლად ვერ ადასტურებს, რადგან ერთი ბრიგადისათვის ყოველთვის მოინახება საუკეთესო მექანიზატორი, ახალი ტექნიკა, დამატებითი სასუქები და ა. შ.

კოლექტიური იჯარის ნორმალური ფუნქციონირება უპირველესად მოითხოვს იმას, რომ იჯარაზე უნდა გადავიყვანოთ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საწარმოო ქვედანაყოფები, მაგალითად, მემინდვრეთა ბრიგადები, ავტოტრანსპორტი, სარემონტო-შემკეთებელი სახელოსნო და სხვა. კოლექტიური იჯარის პირობებში მიდასამეურნეოანგარიშიანი დავალების დაგეგმვის სრულყოფა და გამარტივება დიდად არის დამოკიდებული ნორმატივების სისტემის შერჩევა-შემუშავებაზე.

მაშასადამე, შესაძლებელია ფუნქციონირებდეს კოლექტიური იჯარის გამარტივებული ფორმები, რომლებიც ტრადიციულად მომქმედი ფორმებისაგან განსხვავდება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ არის გადაწყვეტილი კოლექტიური იჯარის დანერგვის საკითხი ლიტვის სსრ ალჩინინსკოეს კოლმეურნეობა „ზამირში“. აქ მათ ეძლევათ მხოლოდ პროდუქციის წარმოებისა და ნორმატიული თვითღირებულების საგეგმო მაჩვენებელი.

წარმოებით ურთიერთობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, ბრიგადა მატერიალურ საშუალებების მოცულობაზე დანახარჯების ცალკეული მუხლების გაყოფით ვიღებთ ერთიანი პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ცალკეული დანახარჯების ლიმიტს.

იჯარულ ქვედანაყოფებში შრომის ნორმირებას აქვს შემუშავების, დანერგვისა და გადასინჯვის რამდენიმე თავისებურება, რაც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მეურნეობრიობისა და დაგეგმვის ახალ სისტემაზე მუშაობის პირობებში. მაგალითად, 1983-1984 წლებში ქვეყნის სხვადასხვა ზონაში ნორმატიული საკვლევი სადგურების მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ყველა ძირითად პერიოდში მემცენარეობისა და მეცხოველეობის იჯარულ ქვედანაყოფთა დიდ ჯგუფებში შესწავლილი იქნა შრომის ორგანიზაციის ბებში ბოლო წლების მანძილზე მინერალური სასუქებით დაკმაყოფილების დონე ტექნიკური კულტურების ნახიდ შეადგენს 55 პროცენტს, ბოსტნეულისა — შესაბამისად 70 პროცენტს, მარცვლეულისა — 85 პროცენტს, საკვები კულტურებისა — 55 პროცენტს.

ამრიგად, კოლექტიური იჯარის ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება საწარმოო ქვედანაყოფებში დაგეგმილი წარმოების ტექნოლოგია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამის დონეს. ამ მიზნით იჯარულ ქვედანაყოფებში პროდუქციის წარმოების გეგმის სწორი დადგენისათვის ბოლო 3-5 წლის განმავლობაში მიღწეული წარმოების საშუალო დონის გათვალისწინებით (თუ წარმოების ტექნოლოგიაში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ მოხდა) მატერიალური დანახარჯების ლიმიტი (ნორმატივი) უნდა დაწესდეს არა თითოეული ჰექტარი ნათესების, არამედ თითოეული ცენტნერი პროდუქციის შეფასების მიხედვით.

სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური რუკებით გათვალისწინებული სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულება ჩარხთან მუშაობა როდია, ხანდახან დღეში რამდენჯერმე გვიხდება ამინდის გათვალისწინება, რათა როგორმე მივაღწიოთ წარმოების პროცესში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეობა „ზამირში“ ტექნოლოგიურ რუკებს იჯარულ ქვედანაყოფებში არავინ არ ადგენს, რადგან მისი შედგენა, განსაკუთრებით გეგმების კორექტირების პირობებში, ძალზე შრომატევადია და, რაც მთავარია, მისი მოთხოვნები ხშირად არ სრულდება. ქვედანაყოფის წევრები სათანადოდ უნდა იყვნენ დაუფლებულნი ტექნოლოგიას, თუ უნდათ ეფექტიანად გამოიყენონ მათ ხელში არსებული წარმოების ყველა პირობა. ამ მიზნით აღნიშნულ კოლმეურნეობაში ცუდ ამინდში და ზამთარში მექანიზატორები მთავარი აგრონომის ხელმძღვანელობით სწავლობენ მეურნეობრიობის ხელსაყრელ პირობებს და, როცა საჭიროა, რჩევისათვის მიმართავენ სპეციალისტებს. ჩვენი აზრით, კოლმეურნეობის გამგეობა არ შემცდარა, როცა ტექნოლოგიური რუკების შედგენა შეცვალა იჯარულ ქვედანაყოფებში ახალი ტექნოლოგიის სწავლებით. რადგან ძირითადად ყველა ისინი ხორბლისა და კარტოფილის მომყავნები არიან. ქვედანაყოფის წევრები თვითონ ირჩევენ ტექნიკისა და შრომითი რესურსების გამოყენების ხელსაყრელ ვარიანტებს, რის შედეგადაც იზრდება მუშათა ინიციატივა და ფართოვდება შემოქმედებითი საზღვრები.

ბრიგადული იჯარის მართვის უმაღლესი ფორმაა ქვედანაყოფის კრება. ბრიგადაში არ მოქმედებს ბრიგადის საბჭო. კრება წყვეტს ბრიგადის მატერიალური და მორალური სტიმულირების ყველა საკითხს. მისი გადაწყვეტილებით საბოლოო ანგარიშსწორება იჯარული ქვედანაყოფის წევრებთან წარმოებს წლის მანძილზე გაცემული დროითი ავანსის პროპორციულად. ბრიგადის წევრები თანასწორფასიანი არიან. ამ ფაქტს კი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

შიდასამეურნეოანგარიშიანი კოლექტიური იჯარის ფუნქციონირების გამარტივების ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, დაცულია კოლექტიური იჯარის თითქმის ყველა მოთხოვნა. კერძოდ, იჯარული ქვედანაყოფი, ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულებას კისრულობს მათზე მიმაგრებული წარმოების საშუალებებით აწარმოოს განსაზღვრულ ფასად გარკვეული ოდენობისა და ხარისხის პროდუქცია, მეურნეობის ადმინისტრაცია მოვალეა ქვედანაყოფი უზრუნველყოს მისთვის საჭირო მატერიალური საშუალებებით და შრომა აუნაზღაუროს წინასწარ დადგენილი შეფასებით. თვით წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს წარმართავს კოლექტიური შრომა, რადგან აქ არ წარმოებს ბრიგადის ცალკეული წევრების მიერ შესრულებული სამუშაოების ცალკე აღრიცხვა, კოლექტიური ხელფასის განაწილებაში მონაწილობენ მხოლოდ იჯარული ქვედანაყოფის წევრები. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ამგვარი წესი უზრუნველყოფს პირადი და სახელმწიფო ინტერესების განუწყვეტელ კავშირს, დიდნაყოფიერ მუშაობას.

თ. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



თითქმის 900 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა წლის დამდეგიდან ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათაშენებელმა ქარხანამ. მნიშვნელოვანი გადაჭრობებით შესრულდა რეალიზაციის დავალებაც, რაც ნაწარმის კარგი ხარისხის დასტურია.

ქარხანა იმ საწარმოებს განეკუთვნება, რომლებიც გაისად სახელმწიფო მიღებაზე გადადიან. შემუშავებულია ამ მნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადების ღონისძიებანი, მოეწყო განმარტებითი მუშაობა საამქროებში, შემოიღეს ახალი მოთხოვნები, რომლებიც ზრდიან ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობას მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

სურათებზე: ხარნენი საამქროს საერთო ხედი; აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ გოგლიძე (ცენტრში) ესაუბრება თავისი ბრიგადის წევრებს.

გ. შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომა დიფერენცირებულად ანაზღაურდება

სრულყოფთ სამეურნეო მექანიზმი

ჩვენი ცხოვრების სოციალურ პრაქტიკაში დიდი ყურადღება ექცევა განაწილებითი ურთიერთობების სრულყოფას. მისი ძირითადი მიზანია გაძლიერდეს განაწილების მასტიმულირებელი როლი წარმოების ეფექტიანობის ზრდაში, უფრო სამართლიანად განხორციელდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ განაწილების სისტემის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს უკეთესი შედეგების მიღწევისათვის მშრომელთა წახალისებას, მოვალეობისადმი შემოქმედებითი და გაძლიერებული პასუხისმგებლობით მიდგომას.

სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით, გამოკითხულთა 98 პროცენტს მიაჩნია, რომ მიღწევებისა და კეთილდღეობის საფუძველი შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, მაგრამ ამ პირთა მხოლოდ 25-35 პროცენტი იბრძვის იმისათვის, რომ იმუშაოს უკეთესად, გაძლიერებული პასუხისმგებლობით მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას.

განაწილებითი მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული მშრომელის დაინტერესებას საუცხოო შრომითი სკმენაობით. როგორც ცნობილია, ხალხის კეთილდღეობისა და გაფართოებული კვლავწარმოების მყარი, შეწონასწორებული ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერებისა და მისი ანაზღაურების ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული შეფარდების უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ქვეყნის მასშტაბით იგი რამდენადმე გაუმჯობესდა, ოპტიმალური მაინც არ გახდა. 1984 წელს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი მრეწველობაში მხოლოდ 10-11 პროცენტით სჭარბობდა მუშების საშუალო ხელფასს, ხოლო მშენებლობაში მთელი ორი პროცენტით ნაკლებიც კი იყო. ეს შეფარდება დაახლოებით 23-24 პროცენტით მაინც უნდა განსხვავდებოდეს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სასარგებლოდ.

ეს გარემოება სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეული იყო სატარიფო სისტემის და თანამდებობრივი განაკვეთების შეუსაბამობით, შრომის ნაყოფიერებაში არსებული ნაკლოვანებებით. ამჟამად მოქმედი განაკვეთები და სარგოები ძირითადად 1969-1975 წლებშია შემოღებული და ისინი ვეღარ შეესაბამება დაჩქარებისა და ინტენსიფიკაციის თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ, მიმდინარე ხუთწლედში ხელფასისა და წარმოების ეფექტიანი მუშაობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე შრომის ანაზღაურებაში დასაბუთებული დიფერენციაციისათვის გათვალისწინებულია განაკვეთებისა და თანამდებობრივი განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც თვით საწარმოს მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე უნდა მივაღწიოთ.

ამ მიზნით ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი სატარიფო განაკვეთების და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შესახებ“.

დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასის სისტემის გარდაქმნა მეთორმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა. იგი შეეხება საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა ორ მესამედზე მეტს.

ხელფასის სისტემის გარდაქმნის პრინციპული სიახლე ის არის, რომ იგი შეეხება შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ყველა ელემენტს, სატარიფო, პრემიებისა და ხელფასზე დანამატების სისტემებს, შრომის ნორმირებას და სხვა. შრომის ანაზღაურებისათვის სახსრების ფორმირების ნორმატიულ მეთოდზე გადასვლა სახალხო მეურნეობის ყველა საწარმოო დარგში განხორციელდება.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმებზე მასობრივი გადასვლა უპირატესად სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მოქმედ და იჯარის წესით მომუშავე ბრიგადების განვითარების გზით მოხდება.

შრომის ანაზღაურების ახალი დებულების შემოღებით პირობები იქმნება იმისათვის, რომ ხელფასის სიდიდე მჭიდროდ დაუკავშირდეს დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს, მთელი კოლექტივის და მისი ყოველი წევრის მუშაობის საბოლოო შედეგებს. რთული და პასუხსაგები თანამდებობის პირებს მიეცემათ მეტი ხელფასი, დაცული იქნება განსხვავება კვალიფიციური და ნაკლებკვალიფიციური შრომისათვის.

დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საწარმოებისა და გაერთიანებების დამოკიდებულებას შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების დარგში, მოუხსნის მათ შეზღუდვებს ზემოდან, ხელს შეუწყობს საქმისადმი შემოქმედებით მიდგომასა და ინიციატივის განვითარებას.

ხელფასის სატარიფო სისტემა შრომის ანაზღაურების სახელმწიფოებრივი რეგულირების საფუძველია, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემცირდა მისი როლი, გავრცელდა პრემიებისა და სხვა სახეობის დანამატების გადახდით ხელფასის ხელოვნური ზრდის პროცესი. ამის გამო სატარიფო ხელფასის ხვედრითი წილი 50 პროცენტამდე შემცირდა (ზოგიერთ დარგში— უფრო მეტად). სატარიფო სისტემის ძირითადი ელემენტებისათვის, სატარიფო განაკვეთისათვის ხელფასის ორგანიზაციაში მთავარი მარეგულირებელი როლის აღდგენის მიზნით ახალი წესი ითვალისწინებს ტარიფის ხვედრითი წილის ზრდას 70-75 პროცენტამდე. ამით უფრო სრულად გათვალისწინებთ მუშაკის კვალიფიკაციას, შრომის სირთულეს და პირობებს, ამ ღონისძიების გათვალისწინებით მუშების სატარიფო განაკვეთები გაიზრდება 20-25 პროცენტით. სატარიფო ქსელის ახალი სატარიფო კოეფიციენტების შემოღებით მნიშვნელოვნად გაიზრდება მისი დიაპაზონი, რაც ხელს შეუწყობს იმ გათანაბრების აღმოფხვრას, რომელიც შეიმჩნეოდა ზოგიერთი დარგის სატარიფო ცხრილებში კვალიფიციური და შედარებით დაბალკვალიფიციური შრომის ანაზღაურების დროს. ამის საფუძველზე, მაღალი თანრიგის სამუშაოების შესრულებისათვის დაბალ თანრიგთან შედარებით ანაზღაურება გაიზრდება როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთი გაიზრდება 19-20 პროცენტით, ხოლო მეექვსისა — 26-27 პროცენტით. მსუბუქ მრეწველობაში შესაბამისად — 18-19 პროცენტით და 24-25 პროცენტით, ანალოგიური ცვლილებებია სხვა დარგებშიც.

მანქანათმშენებლობაში შემოღებული იქნება განაკვეთების სამი დონე, ყველაზე დიდი ანაზღაურება მიეცემათ მეინსტრუმენტეებს, გამწყობებს, მოქნილი საწარმოო სისტემების, ავტომატური ნაკადური ხაზების და სხვა თანამედროვე რთული ტექნიკური მანქანა-მოწყობილობის მომსახურე მუშაკებს. მეორეული საშუალო დონის ანაზღაურება მიეცემათ ჩარხებზე, მანქანა-მოწყობილობის რემონტზე მომუშავეებს და სხვა.

ხელფასის ორგანიზაციის ახალი სისტემა ითვალისწინებს სატარიფო განაკვეთების დიფერენცირებული დანამატების 12-დან 24 პროცენტამდე მომატებას ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს. ეს მოხდება იმ პირობით, თუ ამ პროფესიის მუშა უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას.

პრინციპული ხასიათის სიახლეებია ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომის ანაზღაურებაში. მათი თანამდებობრივი განაკვეთები საშუალოდ 30-35 პროცენტით იზრდება და ეს ანაზღაურება უშუალოდ დაუკავშირდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კონკრეტულ შედეგებს, გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და წარმოების საერთო ეფექტიანობას. ამ კატეგორიის მუშაკებისაგან განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ კონსტრუქტორები და ტექნოლოგები, რომელთა შრომა უშუალოდ არის დაკავშირებული ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასთან და დანერგვასთან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შრომის ანაზღაურების დიფერენცირების მიზნით, სამუშაოთა შინაარსისა და სირთულის შესაბამისად, დაწესებულია 1 კატეგორიის ინჟინრისა, 2 კატეგორიისა ინჟინრისა და 3 კატეგორიის ინჟინრის, ხოლო კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგებისათვის ხუთი თანამდებობა. გაზრდილია ყველა მათგანის ხელფასი. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში სპეციალისტის ხელფასი 130 მანეთიდან 230 მანეთამდე შეიძლება გაიზარდოს, ამით ძირფესვიანად შეიცვალა სპეციალისტთა პროფესიული დაწინაურების სისტემაც. მათი შრომა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პირად შრომითს წვლილს. გაიზარდა ყოველი მათგანის დაინტერესება პროფესიული დახელოვნებით და კვალიფიკაციის ამაღლებით. ახლა წარმოების ხელმძღვანელი განსაზღვრავს იმას, თუ რომელ სტრუქტურულ ქვეგანაყოფს რა სპეციალობისა და თანამდებობის პირი სჭირდება. აღარ არის სავალდებულო მუდმივი საშტატო თანამდებობები.

შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოსტატების, უბნისა და საამქროს უფროსების, წარმოების ხელმძღვანელის ხელფასებს. თუ ოსტატი უკანასკნელ დრომდე მაღალკვალიფიციურ მუშასთან შედარებით ნაკლებ ხელფასს იღებდა, ახალი წესის თანახმად მისი ხელფასი 20-35 პროცენტით უნდა აღემატებოდეს უმაღლესი თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთს. საწარმოს მთლიანად და მისი ყველა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელის ხელფასი უშუალოდ უკავშირდება შრომითი კოლექტივის მუშაობის ეფექტიანობას. იმ კატეგორიის მუშაკთათვის, რომელთა შრომითი წვლილი დიდია კოლექტივის საერთო წარმატებაში, ან გარკვეულ ვადებში მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალება უნდა შეასრულონ, მიეცემათ დანამატები თანამდებობითი ხელფასის 50 პროცენტის ფარგლებში.

არსებითი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი პრემიების მექანიზმშიც. უწინარეს ყოვლისა ყველა სახეობის პრემია უკავშირდება შრომის ნაყოფიერების ზრდას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვას, დაძაბული გეგმების შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რენტაბელობის ზრდას. ამასთან მოხსნილია ის ფაქტორები, რომლებიც წარმოების ხელმძღვანელობას პრემიების გაცემის დროს ზღუდავდა. ხელმძღვანელები თვითონ ამტკიცებენ მუშამოსამსახურეთა პრემირების დებულებას, საწარმოს წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანებისა და მუშაობის პირობების შესაბამისად. საწარმოთა და გაერთიანებათა ხელმძღვანელი მუშაკების პრემირების დებულებას შესაბამისი სამინისტროები ამტკიცებენ.

შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა ითვალისწინებს როგორც ცალკეულ პირთა, ისე ბრიგადების, უბნებისა და საამქროების კოლექტივების მუშაობის შედეგების მიხედვით პრემირებას. ამ კოლექტივების მიერ დამსახურებული პრემია მათ განკარგულებაში რჩება და შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით გაიცემა. შეიცვალა აგრეთვე ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების სისტემა, იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. ამ კატეგორიის მუშაკებს პრემიები მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით შეასრულა. ეს უცილობელი პირობაა პრემიების დარიცხვისათვის.

შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ახალ წესზე გადასვლა 1987 წლის პირველი იანვრიდან თანდათანობით განხორციელდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებანი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ხელფასის მოქმედი სისტემის გარდაქმნის მიმართულებით, მაგრამ მისი რეალიზაციისათვის ყველა საწარმო რიგია მზად. ეს ღონისძიება დაკავშირებულია მთელ რიგ სიახლეებთან, რომელთა დანერგვას რთული მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება დასჭირდება, უპირველესად საქმე ეხება შრომის ნაყოფიერების სრულყოფას. ეს ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ხელფასის სისტემის გარდაქმნისათვის. როგორც ცნობილია, შრომის ნორმირების მოწესრიგების მიზნით შარშან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს შრომის ნორმირების მექანიზმის მოწესრიგებასთან, გამომუშავების ნორმების გადასინჯვასა და ტექნიკურად დასაბუთებული საშუალო პროგრესული ნორმების დაწესებასთან დაკავშირებული დადგენილება, საჭიროა მთლიანად და განუზრელად განხორციელდეს დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებანი.

ასევე საჭიროა სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის სამუშაოთა დაჩქარება.

მოსამზადებელი სამუშაოებიდან უნდა გამოვყოთ კარგად ორგანიზებული განმარტებითი სამუშაოების შესრულება, რაც არცთუ ისე იოლია. უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები უნდა გაერკვნენ ამ სერიოზული საქმის არსში. იგი ხომ საკმაოდ ფართო მასშტაბის რთული და კომპლექსური ხასიათის სამუშაოების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინა ეს გარემოება და შექმნა საკონსულტაციო ჯგუფი. აქედან დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური რჩევა-დარიგებანი. კარგი სამსახური შეუძლია გასწიოს ამ მიმართულებით შრომის დარგში მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებმა, რომელიც შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბაზაზე ჩამოაყალიბა.

შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის სიახლეებმა სათანადო გამოცდა გაიარა მთელ რიგ მოწინავე საწარმოებსა და დარგებში, მათ შორის ბელორუსიის რკინიგზაზე, შჩეკინოს გაერთიანება „აზოტში“, ლენინგრადის ოლქის „პეტროსკის“ საბჭოთა მეურნეობაში და სხვა. ახლა საჭიროა კარგად გავეცნოთ ამ გამოცდილებას და გავითვალისწინოთ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში.

დ. ძველაძე,
პროფესორი.

მკვეთრად შემცირდება დანაკარგები

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობით შეიცავს პარაფინს, ეს კი აფერხებს ნავთობ-ბიტუმის დამზადების გეგმის შესრულებას. ახლა მონტაჟდება ტექნოლოგიური მილგაყვანილობა, რომელიც წლის დამლევს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მისი მწყობრში ჩადგომით ნავთობის მიღება და დახარისხებაც გაუმჯობესდება.

ჩვენი მთავარი საზრუნავია დანადგარების ტექნიკური დონის ამაღლება. ზოგიერთი დანადგარი ალარ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ამიტომაც, ვიდრე მათ შეეცვლიდეთ, საჭიროა მაქსიმალურად დავიცვათ ტექნოლოგიური რეჟიმი, გაძლიერებული პასუხისმგებლობით მივუდგეთ საქმეს.

მეცნიერების დახმარებით ბათუმელმა მენავთობეებმა პირველებმა მოძებნეს და დანერგეს თუთიის კატალიზატორის საშუალებით გოგირდის ნაერთისაგან პროდუქციის გაწმენდის მეთოდი.

სიახლე იქნება ისიც, რომ ნავთობ-ბიტუმს, რომელსაც 170-კილოგრამიან ბლოკებად ეუშვებდით, მომავალში ქაღალდის ტომრებში 50-კილოგრამიან სხმულებად დავამზადებთ.

— როგორ გესახებათ ქარხნის მომავალი სახმილების პირობებში?

რევაქციისაგან: ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა და ამ ფაქტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაშიც, რომ საწარმო სახმიღებაზე გადადის. თუმცა, როგორც დირექტორის ნათქვამიდან ჩანს, განსაკუთებელი, მოსაწესრიგებელი აქ ძალიან ბევრია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიური რეჟიმების სრულყოფას. საწარმო ძალიან სპეციფიკურია, ერთი ოპერატორის გაუმართავმა მუშაობამ, უპასუხისმგებლობამ, მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ შეიძლება დიდი ხნით შეაფერხოს საქმის მოგვარება. ამიტომ ქარხნის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ ადამიანის ფაქტორის გაქტიურებას. საწარმოს ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს ქარხნის ქიმიური რეაქტორებითა და მეტროლოგიური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ტექნიკური სიახლის დროული, გრაფიკის სრული დაცვით დანერგვისათვის, დანაკარგების შემცირებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას. სახმილებასთან ერთად ამოქმედდება მიწოდების ვალდებულების ასპროცენტიანი შესრულების დებულება. სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის წინა თვეებში ქარხანა საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხით დაჯარიმდა. ბოლო უნდა მოეღოს დანადგარების მოცდენებს, ასეთი შემთხვევები ახლებურად მუშაობის პირობებში შეუწყნარებელია. გენერალურმა რეკონსტრუქციამ, რომელიც აქ ამ ხუთწლედში დაიწყება და დამთავრდება, ხელი არ უნდა შეუშალოს საწარმოს რიტმულ მუშაობას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბრძოლას.

გამოცდილების მისამართები

სოია—ინტენსიური ტექნოლოგიით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

სოია ძვირფასი მარცვლეული კულტურა რომ არის, ეს ოდითგანვე იყო ც

ᲡᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲥᲪᲔᲕᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐᲡ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საბჭოური არქიტექტურის, კერძოდ, ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ხუროთმოძღვრების, არსებული თუ მომავალი განაშენიანების, კეთილმოწყობის აკ-კარგი მისი პრობლემები თანაბრად აინტერესებს და აწუხებს ყველა ჩვენგანს — რიგით მოქალაქესა თუ სპეციალისტს. გავიმეორებ, დეტალიზაციისა და პარალელების გარეშე, მოარულ, მაგრამ ჭეშმარიტ აზრს, რომ არქიტექტურა, ხელოვნურად შექმნილი მატერიალური გარემო ხელოვნების ის დარგია, რომელსაც ვერსად გაიქცევი. იგი უნდა აღიქვა (თანაც თითქმის ყოველდღე), მას უნდა შეეგუო. მაშასადამე, არასპეციალისტი თუ სპეციალისტი მოქალაქე თანაბრად იძულებულია შეეგუოს, აღიქვას ცუდი თუ კარგი არქიტექტურა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ვინ არის „დამნაშავე“ იმაში, ცუდია თუ კარგია არქიტექტურა? რა თქმა უნდა, სპეციალისტი.

დიდი ინტერესით გავეცანი „კომუნისტის“ ამა წლის 17 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ თ. კვირკველიას ვოცელ და საინტერესო სტატიას „როგორი იქნება თბილისი ხვალ?“. ამაღლება ემოციურად მართლაც „ჭარბად დამუხტულმა“ სტატიამ „მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“. ეს ორი სტატია ერთი პრობლემის სხვადასხვა პოლუსიდან დანახვის მაგალითია. მაგრამ ორივეს აზრია ერთი საწუხარის, ერთი სტაკერის ახსნის ცდა. ასე სწრაფად გაზეთის მიერ შემოთავაზებული

„ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲒᲒᲮᲕᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

პრობლემის განსჯაში მონაწილეობის სურვილზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი მინდა გაგიზიაროთ ჩემი აზრი თ. კვირკველიას სტატიის შესახებ. არ შეიძლება ძირითადად არ დავეთანხმო სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

მართლაც, სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ქალაქის მწვანე მეურნეობა, მისი ზრდისა და მოვლა-პატრონობის საქმე.

სრულიად სწორი, პრინციპული პოზიციებიდან არის განხილული სტატიაში ქალაქის სამრეწველო მშენებლობის პოლიტიკა. მაგრამ ისიც სწორია, რომ ეს მოსაზრებები ზედმიწევნით სრულად არის გათვალისწინებული მოქმედ გენგეგმაში, რასაც მართებულად შენიშნავს ავტორი.

სტატიაში წამყვანი თემაა დიდი დიღმის ბედი. სწორად არის ახსნილი არა მარტო ის, თუ რატომ წამოიჭრა და დაკანონდა გენგეგმაში ამ შესანიშნავ ტერიტორიაზე საცხოვრებელი მიკრორაიონების შშენებლობის შესაძლებლობა, არამედ არის იმის ლოგიკური ცდაც, თუ როგორ შეიძლება თავიდან აფიცილოთ ეს აქტი, ახალი სასოფლო სავარგულების მოსპობა, ქალაქის სიგრძივი ზრდის არასასურველი ტენდენცია და სხვა. ეგებ საჭირო იყოს, ფართო არქიტექტურული საზოგადოებრიობა ერთხელ კიდევ დაუბრუნდეს დიდი დიღმის პრობლემის განხილვას.

როდესაც ამ პრობლემას ვაანალიზებთ, ვფიქრობთ ისიც უნდა დაკმინთო, რომ მოსახლეობის ბინებით დაკმაყოფილებისა და ბალანსის შევსებისათვის ჯერ კიდევ არსებობს რეზერვები: არსებული ახალი მიკრორაიონების განაშენიანების დასრულება, არსებული ახალი განაშენიანების სიმჭიდროვის გაზრდა, სათანადო შერჩეულ ადგილებზე ქანობიანი ფერდობების ათვისება და, რაც მრავალმხრივ საყურადღებოა, თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული, მაგრამ საკმაოდ ამორტიზებული ცენტრალური უბნების გონივრული რეკონსტრუქციის გზით.

შეიძლებოდა მრავალი ციფრებით არგუმენტირებული მონაცემების მოყვანა. მაგრამ მკითხველისთვის საბოლოო სურათია საინტერესო. ეს სურათი კი, სამწუხაროდ, ვერ არის სახარბიელო. ახალ საცხოვრებელ უბნებში ისევ მონოტონური, ერთგვაროვანი განაშენიანებაა, უვარგისია მშენებლობის ხარისხი, ძალზე დაბალია კეთილმოწყობისა და სანიტარიული პირობების დონე და ასე შემდეგ. ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის ორგანიზმში კი ხშირად ხდება გაუმართლებელი ნგრევა, მაგისტრალების ტრანსპორტით გადატვირთვა, ჩამოყალიბებულ გარემოში უმასშტაბო, გაუმართლებელი მშენებლობა და სხვა. ეს არაერთგზის თქმულა და მრავალგზის აღნიშნულა. მაშ, რა მოხდა? რატომ არ სწორდება საქმე?

თავიდან ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ამ სატკივარში და მოუგარებელ საკითხებში მარტო ჩვენი ქართული არქიტექტურა, ყველა ქართველი არქიტექტორი როდი სცოდავს. ჩვენ აღიარებული მიღწევებიც გვაქვს, ამის დამადასტურებელია ქართველი ხუროთმოძღვრების გამარჯვებები საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ ამჟამად საკავშირო ცენტრალურ, პარტიულ და საბჭოულ პრესაში მიმდინარეობს სერიოზული, საქმიანი სკა-ბაასი საერთოდ საბჭოთა არქიტექტურის, დაპროექტებისა და მშენებლობის არსებული პრაქტიკის საკითხებზე. ეს დისკუსია იმართება არქიტექტორთა მომავალი საკავშირო ყრილობის წინ. საბჭოთა ლიტერატურა ანალიზებენ და ანზოგადებენ არა მარტო ჩვენს უტყუარ მიღწევებს, არამედ ყურადღებას ამახვილებენ ნაკლოვანებებზე, არქიტექტორის შრომის, დაპროექტებისა და მშენებლობის საქმის სრული ორგანიზაციის, სრულყოფის საკითხებზე ამ პრობლემების დასმა და საქმიანი გადაწყვეტა დროის, დღევანდელობის მოთხოვნაა, საერთო გარდაქმნის პარტიული მოთხოვნაა.

დღევანდელობის პარტიული მოთხოვნაა აგრეთვე გულახდილობა, ფაქტების, მოვლენების ანალიზის დროს ყოველი ჩვენგანის თვითკრიტიკული თუ კრიტიკული ხედვის აუცილებლობა.

აი ასეთი თვალსაწიერიდან თუ შევხედავთ ჩვენს პროფესიულ მუშაობას, აღმოჩნდება, რომ მრავალი სტკივრის, თავმოუბმელი საქმის თავიდათავი ისევ ჩვენა ვართ, არქიტექტორები.

განა ვისი ბრალია თ. კვირკველიას წერილში მოყვანილი მაგალითი რუსთაველის პროსპექტის მხატვრული თავისებურების შეცვლისა? ეს ტენდენცია ხომ ტელეგრაფის შენობის აგებით დაიწყო. რა თქმა უნდა, ისევ არქიტექტორებისა.

ამ ბოლო დროს თბილისში განხორციელდა ქალაქის მთავარი მოედნის შექმნის იდეა, რომელსაც ხალხმრავალი ღონისძიებების, მანიფესტაციების, აღლუმების მოწყობის დანიშნულება ენიჭება. არის ცდა, ქალაქის ბუნებრივი სპეციფიკის გათვალისწინებისა — მოედნის ცალ მხარეს გახსნა და ქალაქის ერთიან სივრცეში ჩაწერა. თუ შენიშვნებს იწვევს მოედნის მხატვრულ-ფუნქციური გადაწყვეტა ან ტრანსპორტის საკითხი — ეს ისევ და ისევ არქიტექტორთა ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო.

ძალიან ხშირად გაიგონებთ უკვე მოარულად ქცეულ ფრაზას — „რა ვქნათ, გვაჩქარებენ“.

მაგრამ არსებობს სახელმწიფო ორგანოები — საქართველოს სსრ სახმშენი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურულ-დაგეგმარების მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო. მათ ხელმძღვანელობენ არქიტექტორებისათვის, ზემდგომი ორგანოებისათვის, ხალხისათვის მეტად პატივსაცემი, ნდობით და უფლებით აღჭურვილი ავტორიტეტული პირები. დასახელებულ სახელმწიფო ორგანოებთან შექმნილია საბჭოები, რომლებშიც გაერთიანებულია ყველა, ვინც ითვლება მაღალკვალიფიციურ, წამყვან სპეციალისტად (მეც მაქვს პატივი ვიყო ამ საბჭოების წევრი). და მაინც ხდება მოვლენები, რომლებიც შემდეგ თვით ამავე წამყვანი სპეციალისტების, საბჭოების წევრების კრიტიკის საგანი ხდება.

ალბათ საჭიროა მეტი წესრიგი საბჭოების მუშაობის ორგანიზაციული თუ მეთოდიკური მხარეების სრულყოფისათვის. საჭიროა საბჭოს ყველა წევრი იჩნდეს პრინციპულობას, მომთხოვნელობას, პირუთვნელობას. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენი შეცდომის მიღმა დედაქალაქი, ქალაქები, სოფლები, ადამიანები არიან.

რაც შეეხება ფრაზას — „გვაჩქარებენ“, მგონი, ესეც ჩვენი ხელმძღვანელი უწყებების, საპროექტო ინსტიტუტების მუშაობის მოუქნელობის ბრალი უნდა იყოს. რომელი ხელმძღვანელი

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
არქიტექტორი.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესია, ისევე როგორც მშვიდობის საერთაშორისო წლის პოლიტიკური კალენდრის სხვა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები — რეიკიავიკი, დელი, ჰარარე, სტოკჰოლმი, ვენა — დამაჯერებლად მოწმობს: მსოფლიო გაერთიანება დაინტერესებულია იმით, რომ კონფრონტაციამ ადგილი დაუთმოს მშვიდობიან თანამშრომლობას, რომ კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯოს ბირთვული, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის, ომებისა და ძალმომრეობის გარეშე. ეს აღინიშნა 17 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრში.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. თ. პეტროვსკიმ საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს გააცნო ძირითადად დამთავრებული გენერალური ასამბლეის სესიის შედეგები. სახელმწიფოთა ამ ყველაზე უფრო წარმომადგენლობითმა ფორუმმა, თქვა მან, ცხადყო, არა მარტო ის, რომ მსოფლიო გაერთიანება შეშფოთებულია მსოფლიოს განვითარების ახლანდელი კრიზისული მომენტით, არამედ ისიც, რომ მას შეგნებული აქვს სახელმწიფოთა დაუყოვნებელი პრაქტიკული მოქმედების საჭიროება, რათა გარანტირებული იყოს კაცობრიობის გადარჩენა ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში. სესიამ გამოავლინა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მისწრაფება დანერგონ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში ახალი აზროვნება, რომელიც ორიენტირებულია უშიშროების პრობლემების პოლიტიკური საშუალებით გადაჭრაზე. (ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘ).

18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ● ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲕᲘᲜᲐᲠᲘᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ

ᲞᲐᲜᲝᲠᲘ. აქ მიმდინარე ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობაზე დელეგატები განიხილავენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებს. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს პარტიის კურსს, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების გადალახვას, ვიეტნამის მიწა-წყალზე სოციალიზმის წარმატებულ მშენებლობას.

17 დეკემბერს ყრილობის დილის სხდომაზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ფამ ჰუნგმა დელეგატებს აცნობა, რომ ამხანაგმა ჩიონგ ტინმა, ფან ვან დონგმა და ლე დიკ თამ ყრილობის პრეზიდიუმს მიმართეს თხოვნით არ დასახელოს მათი კანდიდატურები ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევნებზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ყრილობის პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა ეს თხოვნა და აღნიშნა ჩიონგ ტინის, ფამ ვან დონგისა და ლე დიკ თამს უდიდესი დამსახურება პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ის, რომ ისინი ხო ში მინის ღირსეული მოწაფეები და მისი საქმის გამგრძელებლები არიან აღინიშნა, რომ ეს ამხანაგები სამშობლოსა და ხალხის უანგარო, ერთგული სამსახურის მაგალითს წარმოადგენენ და საყოველთაო-სახალხო სიყვარულით სარგებლობენ.

ვიეტნამის კომპარტიის ჰანოის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნგუენ თპან ბინმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება გახდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ანალიზისადმი პარტიის გაბედული მიდგომის ნათელი გამოვლინება. მოხსენებისათვის დამახასიათებელი შემოქმედებისა და განახლების სულისკვეთება საიმისო საფუძველია, რომ შემუშავდეს რევოლუციური გარდაქმნების გზით შემდგომი წინსვლის სახელმძღვანელო მითითებები. მან წამოაყენა წინადადება, რომ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ შეიმუშაოს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნისათვის გამიზნულ კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი.

ვიეტნამელი კომუნისტების ფორუმი განაგრძობს პარტიისა და ქვეყნის შემდგომი განვითარების ძირეული პრობლემების განხილვას.

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი მეთაურობს, შეხვდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებს. შეხვედრაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური. ჩვენ, თქვა მან, დიდ კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობა დღეს მოქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით მაგალითია. ამ ურთიერთობის შემადგენელ მთავარ ძალას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომპარტიის ძმური კავშირი შეადგენს.

საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეებით განმსჭვალულია ჩვენი ქვეყნების ცხოვრების ყველა სფერო. ამ ფასდაუდებელი კეთვნილების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის ზრუნვა ხალხის ფართო მასების საქმედ იქცა, რაც ვლინდება სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოებათა საქმიანობით, რომლებიც მილიონობით აქტივისტს აერთიანებენ. სკკპ XXVII ყრილობისა და ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ორი ქვეყნის მეგობრობის საზოგადოებებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ თავიანთი მუშაობის დონე, რათა კვლავაც ქმედითად დაეხმარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ვიეტნამის კომპარტიას ძმობისა და ურღვევი ერთიანობის სულისკვეთებით სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა აღზრდის საქმეში.

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ეწვია ქალაქ ჰოაბინს, სადაც დათვალიერა შავ მდინარეზე ვიეტნამელი და საბჭოთა მუშებისა და ინჟინრების ინტერნაციონალური კოლექტივის მიერ მშენებარე ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი. საბჭოთა სტუმრები იყვნენ გრანდიოზული მშენებლობის ძირითად ობიექტებზე. მათ დათვალიერეს კაშხალი, ჰიდრომშენებელთა ქალაქი, საქმიანი საუბრები ჰქონდათ ხელმძღვანელებთან, მუშებთან და სპეციალისტებთან.

მშენებლობის მონაწილეებთან საუბრისას ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზი გაუსვა მის დიდ მნიშვნელობას ვიეტნამის სახალხო-სამეურნეო კომპლექსისათვის. ჰოაბინი, გარაკახდა მან, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა, მეგობრობისა, რომლის ტრადიციებს უნდა მოვუფრთხილდეთ და კიდევ მეტი შინაარსი შევძინოთ.

კულტურის სახლში გაიმართა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი, რომელზეც გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

● **ᲤᲐᲥᲢᲝᲒᲠᲘᲕᲘᲐᲓ** მდინარე იორდანის მთელი დასავლეთი ნაპირი და ღაზის სექტორი მოიცვა არაბთა გამოსვლებმა ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ. პალესტინელები აცხადებენ რომ, მხარს უჭერენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ ბრძოლა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის.

ამ მასობრივი დემონსტრაციების ჩასახშობად გამოიყენეს ჯარისკაცები და პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ისრაელი ჯარისკაცები ამოწმებენ რამალაჰის მცხოვრებთა დოკუმენტებს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲓᲐᲥᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ

ᲞᲔᲜᲢᲐ�გᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, შეერთებული შტატების სამხედრო უწყების მეთაურმა კასპარ უაინბერგერმა ამ დღეებში პრეზიდენტ რეიგანს კონკრეტული რეკომენდაციები გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული პოტენციალის ზრდის შესახებ. პენტაგონი, კერძოდ, მოითხოვს, რომ 1988 საფინანსო წლის სამხედრო ასიგნებათა გეგმებში გაითვალისწინონ ხარჯები, რათა დაიწყონ დამატებით პირველი დაკვრის 50 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური „მექს“ რაკეტების განლაგება. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა უკვე შარშან მოიწონა უორენის (ვაიომინგის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზაში 50 ასეთი რაკეტის განლაგება. თითოეული მათგანი აღჭურვება ინდივიდუალური დამიზნების 10 ბირთვული ქობინით. ისინი ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ძალების შემადგენლობაში შეივლენ ამ თვის დამლევს.

ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ამ გეგმის განხორციელება, არსებული შეფასებების თანახმად, 14,8 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

უაინბერგერი სთავაზობს პრეზიდენტს კიდევ 50 „მექს“ რაკეტა განალაგოს სპეციალურად მოწყობილ რკინიგზის პლატფორმებზე. პენტაგონი მოითხოვს აგრეთვე მოიწონონ „მიჯითმენის“ ახალი მობილური რაკეტის შეიმუშავება. საქმე ეხება 500 „მიჯითმენის“ რაკეტისა ან ორ ბირთვულქობინიანი 200 უფრო დიდი მობილური რაკეტის განლაგების გეგმებს. წინასწარი შეფასებით, „მიჯითმენის“ 500 რაკეტა 35-40 მილიარდ დოლარი დაჯდება.

პენტაგონის შეფი, როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა კონგრესს წარუდგინოს რეკომენდაციათა „პაკეტი“ „მექს“ და „მიჯითმენის“ რაკეტების გამო, რათა გააიოლოს შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მათი მიღება. როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის საგენტო, როგორც მოსალოდნელია, „პრეზიდენტი რეიგანი მოიწონებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს“.

ᲙᲠᲔᲡᲐ ᲙᲝᲓᲘᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, თეთრმა სახლმა შეიმუშავა „თავისი მთავარი მოკავშირეებისა და სხვა იმ ქვეყნების“ სამხედრო დავალიანების შემსუბუქების გეგმა, რომლებსაც „ვაშინგტონი იარაღს აწვდის.

გეგმა ეხება 38 სახელმწიფოს, რომელთა საერთო ვალი 15-16 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ მახვერის მიზანი ნათელია — გაადვილონ ამ ქვეყნების დამოკიდებულება ხანგრძლივი პერსპექტივით ამერიკული იარაღის მიწოდებაზე, აგრეთვე გამოიყენონ ვალის „შემსუბუქების“ მომზადებული მექანიზმი პოლიტიკური ზეგავლენის დამატებით ბერკეტად. კერძოდ, გეგმით გადავალისწინებულია მოიცალ ქვეყნებს მისცენ შესაძლებლობა ვალების გადახდა გადადონ უფრო გვიანი ვადისათვის და უფრო ნაკლები პროცენტებით. უწინარეს ყოვლისა ასეთი შესაძლებლობა მიეცემათ ისრაელს, პაკისტანსა და ეგვიპტეს.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამხედრო მიწოდების გამო ისრაელის საერთო დავალიანება 5,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ᲛᲐᲗᲘ ᲖᲜᲔ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ

ᲯᲘᲚᲓᲝᲓ—ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲥᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის პრესაში მოხვედრილი მონაცემებისა და ამის შედეგად მოწყობილი გამოძიების ზეგავლენით ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო იძულებული გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საპელაციო სასამართლოს წინაშე დაეყენებინა საკითხი თეთრი სახლის აპარატის ყოფილი მაღალი თანამდებობის თანამშრომლის დონოფზიგერის კანონსაწინააღმდეგო მაქინაციების საქმის გამო სპეციალური პროკურორის დანიშვნის შესახებ. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო, რომელიც იმოწმებს „ფედერალური სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებს“.

ნოფზიგერმა, რომელსაც 1981-1982 წლებში ეკავა პოლიტიკურ საკითხებში პრეზიდენტ რეიგანის თანაშემწის პოსტი, ამ პოსტიდან წასვლის ოთხი თვის შემდეგ გამოიყენა თავისი კავშირი ადმინისტრაციასთან, რათა ხელსაყრელი სამხედრო კონტრაქტი მიეცათ ნიუ-იორკის მანქანათსაშენებელი კორპორაციის „უედტეკისათვის“.

ნოფზიგერის მაქინაციების მეოხებით „უედტეკმა“ მიიღო პენტაგონისაგან 31 მილიონი დოლარის შეკვეთა და მალე ღარიბი, ყველასათვის უცნობი კომპანიიდან გადაიქცა კორპორაციად, რომლის ყოველწლიური ბრუნვა 100 მილიონ დოლარს შეადგენს. ნოფზიგერს კი ჯილდოდ ხვდა დაახლოებით მილიონი დოლარი ღირებულების აქციათა პაკეტი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲛᲝᲜᲬᲝᲓᲒᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ მოიწოდა მსოფლიოს ხალხებს მთელი ძალები დარაზმონ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის. მშვიდობისა და განიარაღებისათვის ხუთი კონტინენტის ათეწში მიმდინარე კონფერენციის მონაწილეებისადმი წერილში ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა წყდება ჩვენი პლანეტის კაცობრიობის ცივილიზაციის მომავალიც.

ბირთვული შეიარაღების მარაგმა და მისმა დამანგრეველმა ძალიერებამ ისეთ კოლოსალურ მასშტაბს მიაღწია, რომ შეიქმნა ამ დარგში შექმნილი სიტუაციისადმი ადამიანის კონტროლის დაკარგვის რეალური საფრთხე და კატასტროფა შეიძლება მოხდეს თავისთავად, აღნიშნა, რ. განდიმ. წერილში აღნიშნულია, რომ ინდოეთი „დელის ექსპეულის“ სხვა ქვეყნებთან ერთად თანამიმდევრულად და აქტიურად იღვწის ბირთვული განიარაღებისათვის.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

„ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ“ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ. იაპონელი კონსერვატორები ცდილობენ მინიმუმამდე შეამცირონ მასობრივი ინფორმაციის ეროვნულ საშუალებათა მიერ ომის საწინააღმდეგო, ანტიბირთვული თემების გაშუქება. როგორც გაზეთ „აკაჰატასათვის“ ცნობილი გახდა, ჯერ კიდევ 1984 წელს, რომელიც აღინიშნა იაპონიაში ანტიბირთვული მოძრაობის მძლავრი აღმავლობით იმასთან დაკავშირებით, რომ წყნარ ოკეანეში განლაგეს პენტაგონის ბირთვული ფრთოსანი რაკეტები, მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაში „აქტიური ჩარევის“ პროგრამა. კონსერვატორებმა დაისახეს მიზანი — დაამყარონ „მჭიდრო ურთიერთობა“ წამყვანი გაზეთების, ტელეკომპანიების, რადიოსადგურებისა და ჟურნალების ხელმძღვანელებთან, რათა ზემოქმედება მოახდინონ მათზე თავიანთი ინტერესებისათვის.

„აკაჰატას“ მონაცემებით, ტელეკომპანიათა დირექტორებს შესთავაზეს, მაგალითად, მინიმუმამდე შეკვეცონ ანტიბირთვული მოძრაობის, საკუთარი ინტერესების დასაცავად მშრომელთა მასობრივი ბრძოლის საკითხების გაშუქება.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **ᲯᲝᲠᲯᲢᲐᲣᲜᲘ.** ტრინიდადისა და ტობაგოს პრემიერ-მინისტრი გახდა ეროვნული რეკონსტრუქციის კავშირის ლიდერი რაიმონდ რობინსონი. ოთხი ოპოზიციური პარტიისაგან შემდგარმა კოალიციამ მისი მეთაურობით საყოველთაო არჩევნებში დაამარცხა მმართველი პარტია — სახალხო ეროვნული მოძრაობა და წარმომადგენელთა პალატაში 36-დან 33 ადგილი მიიღო.

◆ **ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐ.** სამხრეთ კორეის ქალაქ იჩხონის ქიმიურ საწარმოში სერიოზული ავარია მოხდა. 15-ტონიანი გოგირდმჟავური ანჰიდრიდებით სავსე ცისტერნის აფეთქების შედეგად ერთი კაცი დაიღუპა, ორმოცდაათზე მეტი დაშავდა. მნიშვნელოვნად დაზიანდა ახლომდებარე სახლები და ნაგებობანი.

ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს აქვს აფეთქების შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეული ტოქსიკური ნივთიერებებით მოწამვლის ნიშნები.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲜᲘ

ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ „თამაშობანი“, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ეწყობა ვაშინგტონისა და ნატოს მიერ განხორციელებული გამალებული შეიარაღების დაჩქარების კურსის ფარგლებში, არა მარტო წინასწარ განზრახული პროვოკაციაა მშვიდობის წინააღმდეგ. სამხედრო მანევრები საგრძნობ ზარალს აყენებს ქვეყნის სამოკალაქო ოფიციტებსა და მოსახლეობას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. ქალაქ გისენის გარეუბანში ტანკი დაეჯახა მსუბუქ ავტომანქანას. ყოველწლიურად, კომენტარს უკეთებს ამ გამოქვეყნებულ ფოტოსურათს ჟურნალი „ᲢᲐᲘᲛᲘ“, ასზე მეტი სამოკალაქო პირი ხდება მანევრების მოწყობასთან დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევების მსხვერპლი.

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲘᲤᲮᲘᲤᲚᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲯᲔᲠᲓᲔᲗ

ორიოდ სიტყვით

☐ **საფარეოო** გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ პარტიის ვეტერანთა საბჭომ შეხვედრა მოუწყო ქალაქის ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომელმაც სახელი გაითქვეს მანგანუმის მოპოვებაში. კომუნისტებს, მოწინავე გვიარაგამყვანებს ა. ბოჭორიშვილს, ფ. მაჭარაშვილს და ვ. კერესელიძეს, ეიმავლის მემანქანეებს ვ. გუელიშვილსა და ა. კუპატაძეს, მებიგე ჯ. იობაშვილსა და სხვებს, რომელმაც მანგანუმის მოპოვების მიმდინარე წლის გეგმები ვადაზე სამი-ოთხი თვით ადრე შეასრულეს, საზეიმო ვითარებაში გაჯასლეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნები, ქების სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

☐ **მკითხველმა** მიიღო საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომისა და სანაღლო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანოს — გაზეთ „ივრის განთიადის“ სიიუბილეო, მე-6000-ე ნომერი.

☐ **ახალციხეში** ორბელიანის ქუჩაზე რეკონსტრუქციის შემდეგ კვლავ ამოქმედდა კაფე „ახალგაზრდული“. აქ ერთდროულად 50 კაცს ემსახურებიან და მსურველთ გამაგრილებელი სასმელებით, კოქტეილით, საშაქარდამო ნაწარმით, ხაჭაპურითა და სხვა კერძებით უმასპინძლდებიან.

ამასთან, ახალგაზრდებს აქვე შეუძლიათ აღნიშნონ დაბადების დღე, მოაწყონ შემოქმედებითი საღამოები და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

☐ **ვინც** ერთხელ მაინც გაუსინჯავს გემოს რაჭული ღორს, აღბათ, გუდგრილი ვერ დარჩება ამ გემრიელი პროდუქტის მიმართ. ღორის დამზადების მამაპაპურ წესს ზედმიწევნით იცავენ საამქროში, რომელიც ქვედრულის პირას (ონის რაიონი) მდებარეობს.

— წელიწადს საამქრომ 50 ტონამდე მაღალხარისხოვანი ღორი უნდა დაამზადოს. რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში უკვე გაიყიდა 17 ტონამდე რაჭული ღორი.

☐ **ცხინვალის** რაიონში წარმატებით მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი; რეგულარულად ეწყობა კონკურსები და დათვალიერებები მხატვრული თვითმოქმედების ჟანრებში.

ცხინვალის რაიონულ კულტურის სახლში გამართული ქორეოგრაფიული კოლექტივების დათვალიერების დღეებში ცხრა საკლუბო დაწესებულების 200-მდე მონაწილე გამოვიდა სცენაზე.

☐ **ადამიანს** მთელი ცხოვრება გაჰყვება ხოლმე მშობლიური სკოლაზე ფიქრი და მოგონებანი.

ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულებმა, ვიდრე ამ 20 წლის წინათ დარკვევ ბოლო ზარს მოიგონებენენ და ამ თარიღს ერთად აღნიშნავდნენ, ჯერ იმაზე იფიქრეს, რა სამახსოვრო ნობათი მოემზადებინათ მშობლიური სკოლისათვის. იფიქრეს და არჩევანი წყაროს გამოყვანაზე შეაჩერეს.

და აი, იმ ღირსსახსოვარ დღეს მათ საზეიმოდ შემოაცალეს სპურვეული წინასწარ მომზადებულ მემორიალს, ონკანი გახსნეს და მოსწავლეებმა ანკარა წყაროს წყალი „დაჰაშნიკეს“.

ქომეინისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრდელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-83-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-00; წითელწყარო — 23-84; ტყიბული — 25-32.

ფიგნის თარო



გამოვცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა დამიანე გოგოხიას ბრომერა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“, რომელიც განკუთვნილია მკითხველთა ფართო მასებისათვის.

ბროშურის რეცენზენტები არიან პროფესორი შ. თეთვაძე და დოცენტი დ. პავლიაშვილი, რედაქტორი — ზ. მოლახშია.

პოეტ ხუტა ბერულავას მოთხრობის „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა“ ფრაგმენტები პირველად გაზეთების „კომუნისტის“, „ლიტერატურული საქართველოს“, „თბილისის“, „ნორჩი ლენინელის“ და ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამას წინათ გამომცემლობა „მერანმა“ მკითხველს მიაწოდა წიგნი, რომელშიც შევიდა პოეტის ეს პირველი პროზაული ნაწარმოები.

თითქმის ერთდროულად გამოვიდა მწერალ თენგიზ ბუაჩიძის სამი წიგნი, ორი მათგანი — კრებული „მცირე პროზა“ და მოთხრობა „აღსარება“ „მერანმა“ გამოსცა, ხოლო მესამე წიგნი „გზა ბავშვობისაკენ“ (რომანი) — „ნაკადულმა“.

თენგიზ ბუაჩიძის ამ ნაწარმოებებს ნკითხველი ჯერ ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაეცნო ამ ბოლო წლებში. ვრცელი მოთხრობისათვის „აღსარება ანუ პროფესორი სორდია“, ავტორს 1985 წელს მიენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია პროზის დარგში.

„ძველი კოლხური ჰანგები“ — ასე დაასათაურა თავისი წიგნი ნოდარ ჯალაღონიამ, მათში პოეტმა გამოიყენა ხალხური ლექსების ფორმები და მოტივები. წიგნი, რომელიც გამოსცა „მერანმა“, ეძღვნება დღევანდელობას, სამშობლოს, ხალხთა მეგობრობას და სიყვარულს.

ქართული პიესის ჩინური ვერსია

რამდენიმე თვის წინათ ქართველი დრამატურგის ალექსანდრე ჩხაიძის პიესამ „სამიდან ექვსამდე“, რომელიც შანხაის ეროვნული დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა, განაახლა კულტურული გაცვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა საქართველოს შორის. ამ სპექტაკლმა, რომელიც დადგეს ცნობილმა რეჟისორებმა ხუ სიჩინმა და ჩიან ძუუმ, ორმოცდაათი წლის შემდეგ დაიწყო დიალოგი ჩინელ მაყურებელთან მთელი სოციალისტური სამყაროსათვის აქტუალური პრობლემებზე. ეს დიალოგი გაგრძელდება: ახლახან ბათუმში ალექსანდრე ჩხაიძემ მიიღო წერილი შანხაიდან. ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი შა დინი ქართველ დრამატურგს სთხოვს გაუგზავნოს კიდევ ერთი პიესა „თავისუფალი თემა“. იგი აუწყებს, რომ „სამიდან ექვსამდე“ პიესის შანხაის დებიუტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა და აზრთა ცხოელი გაზიარება გამოიწვია. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ შანხაის ცენტრალური თეატრალური ინსტიტუტის მსახიობთა კურსების კურსდამთავრებულებმა მოაწყვეს დისკუსია და გადაწყვიტეს თავიანთი სადიპლომო სპექტაკლისათვის შეერჩიათ სწორედ თქვენი პიესა. აირჩიეს „თავისუფალი თემა“, რომელიც ახალგაზრდობის იდეურ-ეზეობრივ პრობლემებს ეძღვნება.

თითქმის ერთდროულად ალექსანდრე ჩხაიძემ ჩინეთიდან მიიღო ბანდეროლიც. კონვერტში აღმოჩნდა შანხაის გაზეთების ამონაწერები, რეცენზიები, რომლებიც ეხებოდა „სამიდან ექვსამდე“ პიესის ჩინურ სცენურ ვერსიას. სპეციალისტები ხაზს უსვამენ, თუ როგორ აქტუალურია პიესაში დასმული პრობლემები, აღნიშნავენ მის მაღალ მოქალაქეობრივ ეფექტურობას.

ალექსანდრე ჩხაიძის შემოქმედება გამოირჩევა აქტუალურობითა და მოქალაქეობრივი ეფექტურობით, მისწრაფებით ეხმაროს მაყურებელს ყველაზე მთავარ ეტაპებზე, იდგმება ქვეყნის, ოცდაათზე მეტ თეატრში.

დრამატურგის ახალმა პიესამ „ოქროს თევზმა“ დაადასტურა ავტორის მუდმივი შემოქმედებითი მისწრაფებები. ნაწარმოები არქაულ ენაზეა დაწერილი. საზოგადოების ინტერესი ამ ნაწარმოებისადმი ეროვნული ფესვიანობის, ეროვნული ფერადოვნების, ეროვნული ენის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქოლოგიის გაცოცხლების, ეროვნული ენერგიის ამოქმედების ინტერესებ-ია.

— ჩვენ პიესაში მოქმედი პირები არიან ძველი კოლმეურნე ან თვრამეტი წლის თავმჯდომარე, მეათეკლასელი ან პროკურორის თანაშემწე — ეს არსებითად ერთი გმირი, მტკიცე მრწამსის ადამიანია, — თქვა ა. ჩხაიძემ. — მისი მთავარი ძალაა საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულება. სწორედ ასეთი პერსონაჟები წარმოიჩენენ დამაჯერებლად ცხოვრების სიმართლეს სცენაზე.

ახლა დრამატურგი მუშაობს ახალ პიესაზე. იგი ეხება ადამინისადმი პარტიულ უურადღებას, უნარის დაფასებინ მისი ისეთი თვისება, როგორიც არის გეგრილანობა, წესიერება, პრინციპულობა. (საინფორმი).

ფუბრუნდებით დაბეჭდილს

რა მოვუხერხოთ ბოთლებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით არ ძალუძს ცარიელ მინის ტარის მიღება-გამოყენების პრობლემის გადაჭრაში ჩაბმულ არც ერთ ორგანიზაციას.

ამავე დროს თბილისის მოსახლეობას იმდენი დაუგროვდა ყველა კალიბრის ბოთლი — 0,33 იქნება, თუ 0,8 ლიტრი ტევადობისა, რომ რესპუბლიკაში შეიძლება რამდენიმე წლით შევაჩეროთ მათი გამომშვები ქარხნების მუშაობა (სხვათა შორის, ამ ქარხნების სიმძლავრე მართლაც ერთიორად შემცირებულია).

როცა თითქმის ერთი წლის შემდეგ დავუბრუნდით ამ უკვე „მუდმივად“ ქცეულ თემას, კვლავ ვცადეთ გამოგვერკვია „მონაწილე მხარეთა“ პოზიცია ბოთლების მთის მწყერვალისაკენ მიმავალ ყველა საფეხურზე. მაგრამ, პირველ საფეხურზევე წავიფორთხილეთ: ბოთლების მიმღებთან შეხვედრა შეუძებელი აღმოჩნდა. ქალაქის ტარის მიმღები 72-ვე პუნქტი რომ შემოიაროთ, ყველგან ნახავთ წარწერას „დაკეტილია“, ქარის მიერ მოტანილი ფოთლების, ქაღალდის ნაგლეჯების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, № 18 და № 25 მიღები პუნქტების კარი დიდი ხანია არ გაღებულა... ვიღაც ხუმარას ცარიელი ბოთლები № 13 პუნქტის კართან დაუწყვია... ლაკონიური წარწერა „ადგილი არ არის. მიღება არ არის“ ამშვენებდა გლდანის მასივის სავაჭრო ცენტრში მდებარე ტარის ბაზის ფანჯარას.

თუმცაღა, ვერაფერი გავარკვიეთ სხვა საფეხურებზე გამართული საუბრების დროსაც. არავის არ მიაჩნდა თავი ბრალეულად მასობრივ ჩასაქონლებაში: არც „საქმინწყალვაჭრობტარის“ ბაზას, რომელიც გახსნისთანავე დაიხურა, რადგან ცარიელი ბოთლებით აივსო; არც ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლებს, რომლებიც ახლოს არ იკარებენ მინის ტარას, იმიზეზებენ ბოთლებით სავსე სარდაფებსა და ეზოებს.

უდავოა მხოლოდ ის, რომ მინის ტარის მიმღებნი, კაცმა არ იცის რა სამუშაოსათვის, შეუფერებლად იღებენ ხელფასს. ამ ამბის ერთადერთი მართალი მხარე-მომხმარებელი კი ამაოდ ცდილობს დაიბრუნოს ბოთლის გირავნობის ღირებულება.

ვერ ვიტყვით, რომ არავის უცდია რაიმე ეღონა. არაერთხელ მისხდომიან „მოლაპარაკეების მაგიდას“ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახაგრომრეწვის, სახმომარაგების, ვაჭრობის სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენლები, და ყოველთვის მტკიცე გადაწყვეტილებით ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეთ საკითხი. აყენებდნენ სხვადასხვა წინადადებებს. მხარი დაუჭირეს იდეას გამოუყენებინათ ბოთლები წვენებისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელად. უყურადღებოდ არ დარჩენიათ აზრი გადაექციათ ბოთლები მინის ნაფხვენად და გამოეყენებინათ გზის საფარის კომპონენტად. ისიც კი ითქვა, რომ დაეწყოთ მინის ნალეწისაგან მოსაპირკეთებელი ფილების სერიული წარმოება, მაგრამ, რეკომენდაციები რეკომენდაციად დარჩა და საქმე რის ვაი-ვაგლახით მიიწევს წინ. იმის მიუხედავადაც კი, რომ ეს რეკომენდაციები აისახა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 აპრილის განკარგულებით. ამ დოკუმენტის პირველივე პუნქტი მოითხოვს იმას, რომ მოსახლეობისაგან განუსაზღვრელად მიიღონ ბოთლები და მიხის ქილები, რომლებსაც გირავნობის ღირებულება აქვთ. მთავრობის ამ მოთხოვნას კამათისა და დისკუსიების მონაწილეები რატომღაც ივიწყებენ.

ვაჭრობის სამინისტროში გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ თათბირზე, რომელშიც მოსაწვეულობდნენ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენლები, სიტყვა ჩამოვარდა გარდაბნის რაიონის ბაზის მშენებლობაზე, სადაც უნდა შეგროვდეს მოსახლეობისაგან მიღებული ყველა ბოთლი. ბაზის მშენებლობას კისრულობენ რესპუბლიკის სახაგრომრეწვი და სახმომარაგება. მაგრამ, თუ რამდენიმე თვე დასჭირდა მხოლოდ იმას, რომ მოეფიქრებინათ პრობლემის გადაჭრის გზები, რამდენი დრო დასჭირდება ბაზის მშენებლობას?

მართალია, შამპანური ღვინის ბოთლების ბედი თითქოს გადაწყვეტილია: ნალეწის სახით იგი საექსპორტოდ იგზავნება. როგორც რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროში დაგვარწმუნეს, ნელ-ნელა თავისუფლდება „საქმინწყალვაჭრობტარის“ ბაზა ნახეგარლერიანი ბოთლებისაგანაც. გვპირდებიან, რომ ცოტაც და მისი ტერიტორია განთავისუფლდება მინის ტარის მისაღებად. მაგრამ ასეთ დამამშვიდებელ დაპირებებს თბილისელები წლის დამდეგსაც ისმენდნენ.

ჯერჯერობით კი ვერავინ ბედავს ზუსტად დაასახელოს მინის ტარის მიმღები პუნქტების ბაზისის თარიღი. ბიშმენენ, ვითუ იმდენი ბოთლი და ქილა დაგროვდეს, რომ ვეღარ აუვალთ მის გატანასო. ხოლო მოსახლეობისათვის მეორედ საჯაროდ ბოდიშის მოხდას ტარის პუნქტების დახურვის გამო, ვერ ბედავენ. ამიტომ გაისმის ასეთი ფრაზები: „ჩვენ მზად ვართ“, — აცხადებს ვაჭრობის სამინისტრო. „წინაალმდეგი არ ვართ“ — სულგრძელად უპასუხებს სახაგრომრეწვი, მაგრამ აქვე კატეგორიულად შენიშნავს: „მივიღებთ ყველფერს, ღვინის ბოთლების გარდა“. ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც ვალად აღიკვს მოსახლეობის უზარმაზარი თანხა, რასაკვირველია, არ თანხმდება ასეთ პირობებს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მარტო ვაჭრობის სამინისტროს როდი მიუძღვის ბრალი შექმნილ სიტუაციაში. უმწეობას იჩენს სახაგრომრეწვიც. მის განმგებლობაშია ის სამრეწველო საწარმოები, ჩამოსხმისათვის მინის ტარას რომ იყენებენ. ახლა დაბრკოლების ლოდად იქცა ღვინის ბოთლების გამოყენების საკითხი. გაირკვა, რომ ისინი არავის არ სჭირდება. მოსკოვში კი, მაგალითად, 0,7 ლიტრი ტევადობის ბოთლები, რომელშიც წინათ ასხამდნენ, ვთქვათ, პორტვეინს და ვერმუტს, ახლა უურადღებას იპყრობს სხვა ეტიკეტებით: „ბურახის კონცენტრატი“, „ხილის კოტეული“. ნუთუ რესპუბლიკაში არ შეიძლება მოვაგვაროთ ასეთი სასმელების მასობრივი წარმოება? მათ უთუოდ გამოუჩნდება მყიდველი...

ლ. თუმანიშვილი,
საქინფორმის კორ.

ფუბრუნდებოდ

იუბილეა 1986 წელი, მრავალი გამარჯვების მომტანი, ბარაქიანი გამოდგა იგი ჩვენი რესპუბლიკისათვის. და აი, უკვე უველგან იგრძნობა საახალწლო სამზადისი. მაგალითად, თბილისჭალაქგაფორმების“ მხატვრები ამზადებენ უზარმაზარ პანორამას ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის — ლენინის მოედნის დასამშვენებლად.

უკვე კარგა ხანია საახალწლო ვაჭრობა გაჩაღებულა თბილისის მაღაზიებში, სადაც მომხმარებელს ფართო ასორტიმენტის საქონელს სთავაზობენ. რა თქმა უნდა, დიდი მოთხოვნილებაა ნაძვის ხის სათამაშოებზე; ლალისფერ კრიალა ბურთებზე, თოვლის პაპაზე, ფერად ნათურებსა თუ „წვიმაზე“. ეს სათამაშოები დაამშვენებენ დიდ საახალწლო ნაძვის ხეს ფილარმონიის დიდ დარბაზშიც. იქ ჩვენს პატარებს საჩუქრებით ელოდება თოვლის პაპა და ფიფქია.

უკვე საახალწლო დეპეშებისა და მილოცვების დარიგების დროც დადგა...

მოდის ახალი — 1987 წელი და მოაქვს ახალი იმედები და სიხარული. დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი ჩვენი ხალხისათვის!

რ. კილაძე.
ს. კილაძის ფოტო.

ფგზა გადავუღობოთ უფრთელ ზემოსავალს

კვლავ აკრძალული ტვირთით

ციტრუსები რესაუბლიკის

კის გარეთ გაჰქონდათ

აფხაზეთის მეციტრუსეები წელს განსაკუთრებით გულმოდგინედ მოემზადნენ ნარინჯოვანთა ბაღების მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ პლანტაციებში გაჩაღებულია ციტრუსების კრეფა. ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და დამამზადებელი ორგანიზაციები ათასობით ტონა ნარინჯოვანს უგზავნიან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მცხოვრებთ.

მაგრამ როდენ დასანანია, რომ სპეკულანტური, კერძომესაკუთრული, უმრომელი შემოსავლით გამდიდრების ყინთი შეაჯარობლმა ადამიანებმა, რომლებიც სხვა რესპუბლიკების ბაზრებზე მეცატრუსეებად ასაღებენ თავს, ჯერ კიდევ ნარინჯოვანთა ნაყოფის დამწიფებამდე გაიარაღეს „მწვანე რეველი“ და მკვახე ბანდარინინ ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთულ საკუთარ თუ სახელმწიფო ავტომანქანებს საქართველოს ფარგლებს გარეთ უბრუნეს პირი.

გაგრის ზონის სოფელ ბზიფის მცხოვრებმა, მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშამ სედრაკ ოგანესიანმა საკუთარი ეიგული (№6-57-03 გა) მისაბმელითურთ 2.165 კილოგრამი მანდარინით დატვირთა, და გზას გაუდგა. თავი უკვე სამშვიდობოს ეგონა, რომ გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საკონტროლო-გასაშვებ პუნქტში დაიკავეს, ტვირთი ჩამოართვეს და დამზადებას ჩაუბარეს. ასევე დაემართა გაგრის მარლინსკის ქ. №22-ში მცხოვრებ, საქალაქო წყალთა მეურნეობის მემანქანეს ხაჩიკ მინასიანსაც, რომელსაც უნდოდა 862 კილოგრამი მანდარინი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასპეკულაციოდ გაეპარებინა საკუთარი „ეიგულით“, მაგრამ შუა გზაზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, საგუშაგოზე დაიკავეს. საგუშაგოს ვერც სოფელ ცივწყაროს მცხოვრებმა კარლო ავჯიანმა გაიარა.

სოხუმის პორტის ქ. № 32-ში მცხოვრები არშაველ ტეკნიკიანი ამჟამად არსად არ მუშაობს, დრო ბევრი აქვს და სათაც სურს, იქით გასწევს საკუთარი „ვოლგით“ (№8-46-29-სო), რომელიც რატომღაც სოჭის ავტოინსპექციაში აქვს აღრიცხული. იმ დღეს 968 კილოგრამ მანდარინს მიაქროლებდა ბაზრისაკენ, მაგრამ მისი ქროლვაც დროულად შეაჩერეს.

გაგრის ტრასაზე მძიმედ მიმავალ „კამაზს“ (№29-68 ცპო) გზა გადაუღობეს. მძღოლი ს. შტეფანი უხალისოდ აღებს მისაბმელს კარებს. ეჭვი გამართლდა. მანქანის ძარაში 11.250 კილოგრამი მანდარინი აღმოჩნდა. ტვირთი, ცხადია, მძღოლს არ ეკუთვნოდა. პატრონი მოიკითხეს.

— ისინი დამპირდნენ, კრასნოდარში დაგხვდებითო, — თქვა მძღოლმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ იცოდა მანდარინის პატრონების ვინაობა და მისამართები. ასეთ ტყუილს აბა ვინ დაუჯერებდა.

აკრძალული ტვირთის პატრონების ვინაობა მომდევნო „კამაზის“ (№32-69-ცვგ) მძღოლმა ვ. კრუტჩენკომაც არ გაამეღავნა. მისი ავტომანქანის ძარაშიც 11 ტონაზე მეტი მანდარინი აღმოჩნდა. ს. შტეფანს და ვ. კრუტჩენკოს, რომლებიც კრასნოდარში მუშაობენ, ნამდვილად ბედმა უმტყუნა. მათ მოეხდათ მანქანების ჩამოტვირთვა არა იქ, სადაც დიდძალი სარფის მიღებას ელოდებოდნენ, არამედ სხვაგან და ახლა კანონის წინაშეც პასუხი უნდა აგონ.

მოგების ცდუნებას ვერ გაუძლო აფხაზეთის მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების მძღოლ ა. ეტულეანმაც, რომელმაც „კამაზი“ (№9-80-გო) დატვირთვა 7.400 კილოგრამი მანდარინით, 4.200 კილოგრამი მსხლით და შორეულ გზას გაუდგა, მაგრამ როგორც იტყვიან, კოკა წყალზე გაუტყდა.

ნოემბრის იმ ყვინან ღამეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში ყველას ეძინა კიბდღის ბროილერის მეფრინველეობის ფაბრიკის მძღოლის ზურაბ ქობალიასა და მისი თანამზრახველების გარდა. ზ. ქობალია მეფრინველეობის ფაბრიკამ ვოროშილოვგრადში კვერცხის ჩამოსატანად მიავლინა. მან იფიქრა, ამხელა გზაზე კვერცხების ჩასაწყობი ცარიელი ყუთები როგორ გავაცდენოო და სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მწონავ რაჟიკო კვარაცხელიასთან და იმავე კოლმეურნეობის ბრიგადირ ზაურ ჭანიასთან ერთად მანქანაში 100 ყუთი მანდარინი ჩააწყო. სოხუმს რომ გასცილდნენ, სოფელ ეშერაში დააკავეს. ჩამორთმეული 2.800 კილოგრამი მანდარინი დამზადებას ჩაბარეს, ხოლო მძღოლისა და მისი თანამგზავრების დანაშაულის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

მძღოლი ა. შუნინი „კამაზით“ (№27-28 ცპს) კრასნოდარიდან მივლინებით სამტრედიაში ჩამოსულა. უკან რომ ბრუნდებოდა, გაგრის საგუშაგოში გააჩერეს, 1.200 კილოგრამი გადამალული მანდარინი ჩამოართვეს.

— რა მექნა, გალში გამოვლისას ვიღაცეებმა გამაჩერეს და მანქანაში მანდარინი ჩამიტვირთეს, სათანადო გასამრჯელოს კი დანაშნულების ადგილზე, კრასნოდარში ჩასვლისას დამპირდნენ, მეც დავთანხმდი და წამოვედიო, თქვა მან. მანდარინის პატრონები წითელი „ეიგულით“ თან მოუყვებოდნენ, მაგრამ როცა საგუშაგოს მივუახლოვდი, გაუჩინარდნენო...

აკრძალული ტვირთის გატანის მცდელობისას დააკავეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალბერტ კესიანი, რომელსაც საკუთარი „ვოლგით“ (№8-84-51-გა) 586 კილოგრამი მანდარინი მიჰქონდა. იქვე დააკავეს მისი თანამოფლეები — ვლადიმერ ხაჩატურიანი და ერჩინიკ კესიანი, რომლებსაც 210 კილოგრამი ხურმა და 500 კილოგრამი მანდარინი გაჰქონდათ. ლაბრელებს როდი ჩამორჩა მეზობელი სოფლის არაგიჩის მცხოვრები ლეონიდ ცალაკიანი, რომელიც საკუთარი „ეიგულით“ №8-49-67-კკ) 200 კილოგრამი ტვირთის გატანას ცდილობდა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მცხოვრებმა კვაჭი მინჯიიმ საქმეც გაკვაჭა, წინასწარ მოელაპარაკა თანასოფლელებს მ. თაყაიშვილს, გ. კირთაძეს და მ. ქეცბას კარგი გასამრჯელოსაც დაპპირდა და თავიანთ ბაღებში მწვანე მანდარინი მოაკრეფინა, საგულდაგულოდ შეფუთა, ყუთებში ჩააწყო 4.140 კილოგრამი მანდარინი და სწორედ დანიშნულ ღამეს, როცა კ. მიჯიას და მის თანამზრახველებს შორეული რეისისათვის მანქანა უნდა დაეტვირთათ, მოულოდნელად ოჩამჩირის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერატიული ჯგუფის წევრები ესტუმრნენ (განყოფილების უფროსის ვ. ახუბას ხელმძღვანელობით). ასე ჩაიშალა ოპერაცია „მწვანე მანდარინი“. დამნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყაბახი

საფურნირო ორბიტა

კოკეი. გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე მოსკოვში მიმდინარე XX საერთაშორისო შეჯიბრების პირველი 4 მატჩი ასე დამთავრდა: კანადა-სსრ კავშირი — 1:5, ჩეხოსლოვაკია-შვეიცარია — 1:2, კანადა-შვეიცარია — 6:4, სსრ კავშირი-ფინეთი — 2:3.

კალათბურთი, მოსკოვში, კიევსა და ვილნიუსში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. **მოსკოვი.** თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით — 71:68, კაუნასის „ჟალგირისმა“ მოუგო მოსკოვის „დინამოს“ — 112:90. **კიევი.** ცსკამ ანგარიშით 109:85 დაამარცხა ლენინგრადის სპარტაკი“, კიევის ასკ-მ მოუგო ალმა-ათის ასკ-ს — 102:93. **ვილნიუსი.** ვილნიუსის „სტატბასმა“ და კიევის „სტროიტელის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს ვილნიუსელებმა 83:80, რიგის ვეფის და მინსკის რტი-ს მატჩში გაიმარჯვეს რიგელმა კალათბურთელებმა 75:72. ამრიგად მოსკოვში, კიევსა და ვილნიუსში შეხვედრების შემდეგ უმაღლესი ლიგის თითოეულ გუნდს ნათამაშები აქვს 15-15 მატჩი. 13 ქულით კვლავ ლიდერობს ცსკა, მომდევნო ადგილებზე არიან კიევის ასკ — 10 ქულა, დონეცკის „შახტიორი“ და კაუნასის „ჟალგირისი“ — 9-9, თბილისის „დინამო“ და რიგის ვეფი — 8-8, ლენინგრადის „სპარტაკი“ — 7, კიევის „სტროიტელი“ — 6, მოსკოვის „დინამო“, მინსკის რტი, ალმა-ათის ასკ და ვილნიუსის „სტატბა“ — 5-5. მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 23 26 დეკემბერს თბილისში, რიგასა და დონეცკში.

ფუალბურთი. მოსკოვში სპორტკომპლექს „ოლიმპიისკინი“ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის კოლექტივი — 9:7, ლვოვის დინამოელებმა მოუგეს ალმა-ათის „დინამოს“ — 9:7, მოსკოვის „დინამომ“ მოუგო „მოსკვიჩს“—13:9, საბოლოოდ პირველი ექვსეული ასე განლაგდა: 1. მოსკოვის „დინამო“, 2. ალმა-ათის „დინამო“, 3. მოსკოვის უნივერსიტეტი, 4. სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი, 5. ლვოვის „დინამო“, 6 „მოსკვიჩი“.

ხელბურთი. კაუნასის „გრანიტასმა“ გაიმარჯვა ბერლინის საერთაშორისო ტურნირში. მათ ანგარიშით 20:16 დაამარცხეს პოლონეთის „პოზნანის“ გუნდი და მოუგეს ბერლინის „დინამოს“ — 22:12.

ფეხბურთი. გამოვლინდა უეფას თასის გათამაშების ბოლო მეოთხედფინალისტიც. ეს უფლება მოიპოვა მილანის „ინტერნაციონალმ“, რომელმაც თავის მოედანზე საპასუხო მატჩში პრაღის „დუკლასთან“ ითამაშა ფრედ — 0:0, პირველი მატჩი პრაღაში დამთავრდა მილანელთა გამარჯვებით — 1:0.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამბ. ა. ჯაჯანაძე — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

ამბ. დ. ვ. როგავა — საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ასკასაქართველო დარგაზიდან

არასრულწლოვანმა ავტომოჯირითმა ადამიანი მესხვერპლა

ახალციხეში მიმართულებით მთელი სისწრაფით მიმავალმა „ეიგულიმ“, რომელსაც სოფელ ჭითაწყაროში მცხოვრები არასრულწლოვანი კახაბერ გრიგოლია მართავდა, უსაფრთხოებისა და მოძრაობის ყოველგვარი წესები დაარღვია, ველარ დაიმორჩილა ავტომანქანის საჭე, გადავიდა გზის სავალი ნაწილის უკიდურეს მარჯვენა მხარეს და დაეჯახა 16 წლის ეკა შედანიას... ავტომოჯირითე გაქრა. რა არ იღონეს ზუგდიდის ცენტრალურ საავადმყოფოს მედიკოსებმა, მაგრამ ქალიშვილი სიკვდილისაგან ვერ იხსნეს.

როგორ მოხვდა არასრულწლოვანის ხელში ავტომანქანა?

სოფელ ჭითაწყაროს სახელობის კოლმეურნეობის მთავარმა ეკონომისტმა, პარტიის წევრმა ნოდარ გრიგოლიამ არხეინად გადასცა თავისი მსუბუქი ავტომანქანის გასაღები 16 წლის „ვაჟკაცს“, რათა, იგი კოლმეურნეობის ავტოპარკში გაერეცხა, თვითონ კი წავიდა და დაიძინა.